სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 12 დეკემბერი 2006 №287 (2909) ფასი 50 თეთრი

შემობრუნდება ბრაზილია ჩვენსკენ?

საქართველოს ბოლო ჰასუხს ერთ კვირაში ეტყვიან

ლათინური არჩევანი და ზარი აზიიდან



AFP

გულის მოსაფხანი ონზი

ფრანგული ხმა: ჩვენი კანავარო ანრია

გადარი კეთილაძის ფოტო

ვერა და ვერ შეწვდა ტერი ანრი „ოქროს ბურთს“, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ სუპერფორვარდი ყოველკვირეული ფრანგული ჟურნალ „ონზ“-ის რჩეული გახდა.

სხვათა შორის, „ონზ“-მა 2003 წელსაც აღიარა ანრი ევროპაში საუკეთესოდ, მთლიანობაში კი, წლეულს ფრანგული ჟურნალი აშკარად „პატრიოტული არჩევანით“ გამოირჩა — 2006 წლის გამოკითხვით არსენალელმა ხომ იპირველა და მესამეზეც ფრანგი, მარსელელი ფრანკ რიბერი გავიდა. მეორე ადგილი კი „ბარსელონას“ ბრაზილიელ რონალდინიოს ერგო.

აქვე „ონზ“-ის მიერ შედგენილი ევროპის სიმბოლური ნაკრებიც: ბუფონი, სანიოლი, ტურამი, კანავარო, აბიდალი, ვიეირა, პირლო, ზიდანი, რონალდინიო, ანრი, ეტოო.

შეგახსენებთ, რომ ასევე ფრანგულ „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“ ნომინაციაში „სარბიელმა“ სწორედ ანრი დაასახელა საუკეთესოდ, ტიტული კი მსოფლიოს ჩემპიონმა ფაბიო კანავარომ მოიპოვა.

უეფამ თეთრი ხალათი ჩაიცვა

გთხოვთ, წარმოადგინოთ ჯანმრთელობის ცნობა

კლუბებს, რომლებიც ევროთასებზე ითამაშებენ, 2008 წლიდან საქმე მოემატებათ. მათ უეფას უნდა გაუგზავნონ ცნობა განაცხადში შეყვანილი ყველა ფეხბურთელის... გულის მდგომარეობის შესახებ.

ამის თაობაზე ინფორმაცია დანიურმა გაზეთმა „პოლიტიკენმა“ გუშინ გაავრცელა. „პოლიტიკენმა“ ამბავი უეფას ერთ-ერთი ჩინოვნიკისგან შეიტყო, ოფიციალურად კი, ევროპული ფეხბურთის შეფებს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებიათ.

გაზეთის ცნობით, მოთხოვნა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის გათამაშებებს შეეხება და 2008-2009 წლების სეზონიდან სავალდებულო გახდება.

საქართველო-ბრაზილია 20 დეკემბრამდე იტყვიან

ბადრი კვირიკაძის ფოტო

ჩამოვა თუ არა გაისად თბილისში ბრაზილიის ან არგენტინის ნაკრები? ბუნებრივია, ეს რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, სუპერკლასის ნაკრებთან სპარინგი ჰაიჰარად არ ხდება და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც სწორედ ამ საკითხების მოგვარებითაა დაკავებული. გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ ბრაზილია-არგენტინის თემაზე და ასევე კიდევ ერთ მოსალოდნელ საგაისო ტესტ-მატჩზე გვითხრა...

რას უპირებენ რალფ მინგეს?

— ის კომპანია, რომელიც ჩვენი ნაკრების თამაშებზე სატელევიზიო უფლებით სარგებლობს, 20 დეკემბრამდე გვეტყვის ზუსტ თანხას და ჩვენც ამის მიხედვით ვიმოქმედებთ. ერთი სიტყვით, რამდენიმე დღეში ზუსტად გვეცოდინება ყველაფერი.

— ამას საქართველო — ბრაზილიის ვარიანტზე ამბობთ?

— დიახ. ამჟამად სწორედ ბრაზილიელთა 22 აგვისტოს მასპინძლობაზე ვმუშაობთ.

— არგენტინის შესაძლო ჩამოსვლაზე ახალი არაფერია?

— ამ ორივე ნაკრების ჩამოყვანა ძალიან რთული პროექტია. ახლა იმის თქმა შემიძლია, რომ ამჯერად მხოლოდ ბრაზილიის ვარიანტზეა ლაპარაკი.

— დავუშვათ, ბრაზილიელთა ჩამოსვლა ვერ მოხერხდა, ნაკრების ტესტ-მატჩებისთვის სათადარიგო ვარიანტები არ განიხილება?

— ბევრი ვარიანტი გვაქვს, მაგრამ ჯერ არ ვახმაურებთ. საგაისოდ ფიფას მიერ გამოყოფილი დღეებიდან 12 სექტემბერი და 21 ნოემბერი გვრჩება. დიდი შანსია, ნოემბერში ერთ-ერთ აზიურ ნაკრებს ვეთამაშოთ სტუმრად: მაგალითად, საუდის არაბეთმა გამოთქვა ჩვენთან სპარინგის სურვილი და სხვა ნაკრებებიც არიან სათვალავში.

— შევიტყვეთ, თითქოს მწვრთნელთა ლიცენზირების კურსების ხელმძღვანელ გაიოზ დარსაძის ნაცვლად რალფ მინგე დაინიშნებაო. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

— არა, აქ ლიცენზირების კურსების ხელმძღვანელობაზე არ არის ლაპარაკი. ამ თემას ახლა ვერ გავახმაურებთ — ნოდარ ახალკაცი ჩამოვა და მაშინ შეიტყობთ.

ილია ნანოგაშვილი

ალადაშვილმა დნიპრო დატოვა

გუშინ დნიპროპეტროვსკის „დნიპრომ“ ოფიციალურად განაცხადა, რომ კლუბი ცამეტ ფეხბურთელს დაეთხოვება და მათ შორისაა კახა ალადაშვილიც.

საქართველოს ნაკრების მარჯვენაფლანგელს „დნიპროსთან“ საიჯარო კონტრაქტი დაუმთავრდა და კიევის „დინამოს“ უბრუნდება, თუმცა...

ალადაშვილმა ცოტა ხნის წინ ინტერვიუში გვითხრა, „დინამოში“ დაბრუნებას არ ვაპირებ, ალბათ ისევ სხვა გუნდში გამანათხოვრებენო. ერთ-ერთი ვარიანტი კრასნოდარის „ყუბანია“. გუნდი, რომელიც გაისად რუსულ პრემიერლიგაში ითამაშებს, ჩვენებურით ერთი თვის წინ დაინტერესდა და თუ „დინამოსთან“ შეთანხმება მოახერხა, ალბათ მიზანსაც მიაღწევს.

აქვე ვთქვათ, რომ „დნიპროს“ მეორე წრეში ორი ქართველი ეყოლება — რევაზ ბარაბაძე და კიევის „არსენალიდან“ შეძენილი ჯაბა კანკავა.

კახა შალამბერიძე

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2006
იაპონია. 10-17 დეკემბერი

მეოთხედფინალი

იეონგუკ მოტორსი (კორეა) 0:1 ამერიკა (მექსიკა)

პორტუგალია

სუპერლიგა. XIII ტური

ნასიონალი 1:2 პორტუ

ინგლისი

პრემიერლიგა. XVII ტური

შეფილდი 2:2 ასტონ ვილა

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XVI ტური

ფრაიბურგი 0:4 კარლსრუე

იტალია

სერია B. XV ტური

ჩეზენა 1:1 ნაპოლი

სერია C1/A. XV ტური

პიზა 1:0 პრო პატრია

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XIX ტური

დიჟონი 1:1 გრენობლი

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XVII ტური

ვაცი 0:1 ვაშაში

სარბიელელები თანავუგრძნობთ გიორგი ანჩაბაძეს
დედის
გარდაცვალების გამო

ფეხბურთის კლუბი ამერი სამძიმარს უცხადებს
გიორგი ანჩაბაძეს
დედის
გარდაცვალების გამო

სარბიელელები მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა
ფოთის „კოლხეთის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი
თენგიზ ქოიავა
და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

ერთ დროს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი, 28 წლის ვიტალი დარასელია კარიერას ყაზახეთის „შახტიორში“ აგრძელებს და ამ ბოლო ხანს, ცოტა არ იყოს, ჩრდილში მოექცა. ახლა ყაზახეთის ჩემპიონატში შესვენებაა და დარასელიაც საქართველოში ატარებს შვებულებას...

ყაზახეთში დიდი ხნით დარჩენას არ ვაპირებ

— კონტრაქტი დაგიმთავრდა თუ დასასვენებლად ხარ ჩამოსული?

— პირველი წრე დასრულდა და ვისვენებთ. ახალი წლიდან ისევ ყაზახეთში წავალ. „შახტიორთან“ კიდევ ექვსთვიანი კონტრაქტი მაკავშირებს.

— კლუბის შეცვლას არ აპირებ?

— ჯერ არა. კონტრაქტის დასრულებამდე „შახტიორში“ ვითამაშებ. შემდეგ რა იქნება, არ ვიცი, ალბათ სხვა გუნდში გადავალ.

— წინადადებები ხომ არ გაქვს?

— არა, ჯერჯერობით არანაირი წინადადება არ მაქვს და არც სხვა გუნდებზე ვფიქრობ.

— ყაზახეთში როგორი დონის ჩემპიონატია?

— განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, უგუნდოდ ვიყავი და სათამაშო პრაქტიკისთვის იქ თამაში ვარჩიე, თუმცა ყაზახეთში დიდი ხნით დარჩენას არ ვაპირებ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ცოტაც და, კოშკაძე ჩიხურელია

უმაღლესი ლიგის გუნდები შვებულებაში არიან, მაგრამ სანამ ფეხბურთელები ისვენებენ, კლუბების ხელმძღვანელები მუშაობენ.

სატრანსფერო ფანჯრისას განსაკუთრებით საჩხერის „ჩიხურას“ გააქტიურებას უნდა ველოდოთ — ზემოიმერლები სერიოზულ დაფინანსებას ელიან და სამეორეწრეოდ გაძლიერებას აპირებენ. პირველი ნაბიჯიც უკვე გადადგმულია: „ჩიხურა“ ალექსანდრე კოშკაძის გადაბირებას ლამობს...

„კოშკაძის მოყვანა ნამდვილად გვინდა. ის თბილისის „ამერს“ ეკუთვნის და ამ კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ალბათ შეთანხმებასაც მივაღწევთ“ — გვითხრა გუშინ საჩხერელთა მთავარმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა.

ითქვა, საჩხერელებს „ზესტაფონის“ მცველ სევასტი თოდუას და დინამოელი დავით ოდიკაძის შეძენაც სურთ, ასევე მიხეილ კაკალაძის დაბრუნებაზეც ფიქრობენო...

„კაკალაძის დაბრუნების იმედი ნამდვილად გვაქვს, თუმცა ჯერ არ ვიცით, რას იტყვის „დინამოს“ მწვრთნელი დუშან უჭრინი. თუ კაკალაძე უჭრინის სათამაშო სტილში ვერ ჩაჯდა, „დინამოსთან“ იჯარაზე მოლაპარაკებას გავაგრძელებთ. დანარჩენ ფეხბურთელებზე კი ვერაფერს გეტყვით, ჯერჯერობით სხვას არავის დავკავშირებივართ“.

„ჩიხურა“ უცხოურ შეკრებაზე წასვლასაც გეგმავს...

„დეკემბერში გვინდოდა შეკრება, მაგრამ გადავდეთ. იანვრის დასაწყისში თბილისში შევიკრიბეთ, იანვრის ბოლოს კი უცხოეთში გავემგზავრებით“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

უჰრინმა მწვრთნელებს საათი გაუღო

თბილისში მწვრთნელთა პროლიცენზიის კურსები რომ ტარდება, გეცოდინებათ. გუშინ კი მწვრთნელები „დინამოს“ დიღმის ბაზაზე იყვნენ: „დინამოს“ ჩეხმა თავკაცმა დუშან უჭრინმა ისინი ჯერ გუნდის ვარჯიშს დაასწრო, შემდეგ კი თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა.

ეს იყო უჭრინის „ღია საათი“, მწვრთნელებს შორის კი იყვნენ გიორგი ჩიხრაძე, ოთარ გაბელია, გიორგი ყიფშიძე, ამირან გოგიტიძე, ზაზა ზამთარაძე და სხვები...

უჭრინისგან ნაღდად ბევრის სწავლა შეიძლება...

ბადრი კვირიკაძის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი

კიკნაძეს ოლიმპთან კონტრაქტი დაუმთავრდა

რევაზ ძოძუაშვილზე კულუარებში ალაპარაკდნენ

რასა იქმს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი რუსთავის „ოლიმპი“? გუნდი ახლა შვებულებაშია, კლუბი კი სამომავლო გეგმებზე მუშაობს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ტრანსფერებზეც.

„ოლიმპი“ ახლა ორ ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას — მეკარე მირზა მერლანთან, რომელიც წინა სეზონის პირველ ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოში“ იყო და ფორვარდ რევაზ გოცირიძესთან, ვინც ბოლოს რუსეთის პირველი დივიზიონის „კამაზში“ თამაშობდა.

„ოლიმპიდან“ ჯერ არავინ წასულა და კლუბი ჯერ არც ერთი ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებს, თუმც შესაძლოა, „ოლიმპმა“ 5-6 ფეხბურთელი გაანათხოვროს, ან ტრანსფერზე დააყენოს. ყოველ შემთხვევაში, გუნდის ბირთვი შენარჩუნდება — ასეთია კლუბის პოლიტიკა.

„ოლიმპთან“ კონტრაქტი მხოლოდ როინ ონიანს დაუსრულდა და კლუბი ცდილობს, მას ახალი ხელშეკრულება გაუფორმოს — „ოლიმპის“ დანარჩენ ფეხბურთელებს კლუბთან სეზონის ბოლომდე აქვთ კონტრაქტები.

„ოლიმპს“ რამდენიმე დამფუძნებელი ჰყავს, მათ შორის, ინგლისშიც. ბრიტანეთიდან ჯერ არ არის საბოლოო პასუხი, რის გამოც კლუბის სამომავლო ბიუჯეტი დაუდგენელია — სავარაუდოდ, „ოლიმპი“ ამ საკითხს 18-19 დეკემბერს გაარკვევს.

„ოლიმპთან“ კონტრაქტი დაუსრულდა გუნდის მთავარ მწვრთნელ გიორგი კიკნაძეს და ვინძლო, ამიტომაც გაჩნდა ხმები, „ოლიმპი“ რევაზ ძოძუაშვილს იწვევსო. „ოლიმპში“ გვითხრეს, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება კლუბსა და კიკნაძეს შორის და, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, ახალი მწვრთნელის მოწვევაზეც მერე იმუშავებენ.

ერთი სიტყვით, ხმები ძოძუაშვილის „ოლიმპში“ სავარაუდო მისვლაზე უსაფუძვლო არ არის.

ისიც დამაფიქრებელია, რომ კიკნაძის ხელში „ოლიმპმა“ პირველი წრე პირველი ადგილით ჩაამთავრა და ასეთი შედეგის მქონე მწვრთნელს, როგორც წესი, გუნდიდან არ უშვებენ.

ერთ-ერთმა აგენტმა კი „ოლიმპს“ სამი ბრაზილიელი ფეხბურთელი შესთავაზა და რუსთაველები გასინჯვაზე ჩამოსვლელ ლათინოსებს დღე-დღეზე ელიან.

დავით თავართქილაძე

ლევანის ლევანტური ამბავი

ყენიამ ვალენსიაში საკუთარი სახლი დაინახა

16 წლის ლევან ყენიას „ლევანტეში“ გადასვლა რომ გადაწყვეტილი ამბავია, ამაზე უკვე ვწერდით. საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების შემტევი ნახევარმცველი თვენახევრის წინ ჩავიდა ვალენსიურ კლუბში და მწვრთნელთა მოწონებაც დაიმსახურა — ყენიამ ძალიან იყოჩაღა ტესტ-მატჩებში და ახლა მხოლოდ სატრანსფერო დეტალებიღა დარჩა გასარკვევი...

ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკიდან

— ესპანეთში „ბარსელონას“ ტალანტების მოძიების პროგრამით მომუშავე იაგო აგილარი და თარჯიმანი ჩამყვნენ. „ლევანტეს“ 1988 წელს დაბადებულთა გუნდში ვვარჯიშობდი და ვთამაშობდი. ეს „ლევანტეს“ მესამე გუნდია.

— რამდენი ამხანაგური მატჩი ითამაშე?

— ორი. პირველი იყო იქაურ რეგიონალიგის გუნდთან — უფროსებს ვეთამაშეთ და 4:3 მოვუგეთ, ერთი გოლი გავიტანე და ორი საგოლე პასი გავაკეთე. მეორე მატჩი ვალენსიის რეგიონის ნაკრებთან 1:1 დამთავრდა, მაგრამ თამაშის დასაწყისშივე მაგრად მომარტყეს ფეხში და მოტეხილობას ძლივს გადავურჩი. ამის გამო სამი დღე გამიცდა, მერე კი მალტაზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს რომ ჩავყევი, იქაც გამოვტოვე პირველი შეხვედრა.

— „ლევანტეში“ რა პოზიციაზე გათამაშეს?

— 4-4-2 სქემით ვთამაშობდით და მე მეორე თავდამსხმელი ვიყავი. შეტევების წამოწყებაც მევალებოდა.

— მწვრთნელები რას გეუბნებოდნენ?

— ჩემთან საუბრისას კმაყოფილებას არ მალავდნენ და მეც ამით სტიმული მემატებოდა. ძალიან მომეწონა იქაურობა, ზუსტად ის სიტუაცია დამხვდა, რაც მინდოდა და წარმოდგენილი მქონდა.

— კიდევ როდის ჩადიხარ „ლევანტეში“ და რა სტადიაშია ტრანსფერი?

— წესით, ორ დღეში უნდა წავსულიყავი და შეიძლება, ასეც მოხდეს. თუმცა არ არის გამორიცხული, ნაახალწლევს ჩავიდე. როგორც გვითხრეს, ძალიან ძნელია არაევროკავშირელებზე საბუთების გაკეთება, გარკვეული პროცედურებია გასავლელი, მაგრამ ყველაფერი მოხერხდებაო.

— ალბათ, მშობლები ჩაგყვებიან...

— დიახ. რაღაც დეტალებია შესათანხმებელი და ამას მოევლება. „ლოკომოტივსა“ და „ლევანტეს“ შორის კი, როგორც ვიცი, ყველაფერი მოლაპარაკებულია.

— ალბათ „ლევანტეს“ მეორე გუნდში იქნები?

— მგონი, ასე იქნება. ჩემი მიზანი კი ისაა, რაც შეიძლება, მალე ვითამაშო პრიმერადივიზიონში.

— „ლევანტეს“ საშინაო მატჩებს ან ვარჯიშებს თუ დაესწარი?

— კი. შთაბეჭდილება ძალიან დიდი იყო. „ლევანტე“ ნორმალური გუნდია, გრანდობამდე ბევრი უკლია, მაგრამ ჩემი ასაკის ფეხბურთელისთვის მისაღები ვარიანტია. თან, ვალენსიაც ფანტასტიკური ქალაქია.

— როგორ ფიქრობ, შენი ტოლი ესპანელი ჭაბუკები რა კომპონენტებში სჯობნიან ქართველებს?

— განსხვავება კლასშიც არის, მაგრამ უფრო თვალში საცემი განსხვავება თამაშის ტემპშია. ესპანეთში გაცილებით სწრაფად მოძრაობენ, სწრაფად ხდება ბურთის ტარება, პასი, ერთი შეხებით თამაში... იქ უფრო დამღლელია ვარჯიშიც და თამაშიც.

— საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს მალტაზე ახლდი და ერთი მატჩი ჩაატარე. ჰაინც ტოპმიოლერი კმაყოფილი დარჩენილა შენით...

— ორი წლით უფროსებთან თამაში არ გამჭირვებია, პირიქით, იოლად შევეწყვე ბიჭებს. ძალიან კარგი ნაკრები გვყავს, შეკრული და შეთამაშებული. ამას მარტო იმიტომ არ ვამბობ, რომ მალტელებს იოლად მოვუგეთ... მეორე შესარჩევ ეტაპზე ძლიერ ჯგუფში მოვხვდით და ოთხი ნაკრებიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ის ერთი ჩვენ ვიქნებით.

ილია ნანოგაშვილი

კახი 60

ფეხბურთის უამრავი სტილი არსებობს: ბრაზილიელები ბრაზილიურად თამაშობენ, ინგლისელები ინგლისურად, გერმანელები გერმანულად და ასე შემდეგ. ქართველები ქართულად ვთამაშობთ... ვთამაშობდით.

კიდევ, ფეხბურთს უამრავი ვარსკვლავი ჰყავს, რომლებიც სულ სხვადასხვანაირნი არიან და არასდროს ქრებიან. არასდროს გაქრებიან ქართველი ვარსკვლავებიც. მათ შორის იყო კახი ასათიანი, ცხადია, ისიც გამორჩეული. რა გითხრათ:

მისი ფეხბურთი რომ ნახეს, თავადს შეადარეს.

მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა.

იგი მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე სიმპათიურ ფეხბურთელთა სიმბოლურ ნაკრებშიც კი შეიყვანეს.

მას ჩვენშიც ტაშს უკრავდნენ და სხვათა ქვეყნებშიც.

მას დღეს 60 წელი შეუსრულდებოდა. მხოლოდ და მხოლოდ 60.

დღეს თბილისში, „მერსედესის“ ცენტრში მისი მოგონების საღამო და მის შესახებ შედგენილი წიგნის პრეზენტაცია გაიმართება

პირველი ის არის, ვინც მდიდარია

აზერბაიჯანულ ფეხბურთში კიდევ უფრო მეტი ფული იხარჯება

ცამეტგუნდა აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველი წრე ისე დასრულდა, ბევრი ქართველი ლეგიონერის გუნდები მოწინავე პოზიციებზე არიან, ვალერი აბრამიძის „ხაზარი“ კი სულაც ლიდერია. გიორგი ადამიას „ნეფთჩის“ მეოთხე პოზიცია უკავია, ალეკო გოგობერიშვილის და გიორგი მეგრელაძის „ბაკის“ მეხუთე — ბაქოელებს გაისად ამირან მუჯირიც დაემატებათ.

„ბაკის“ ერთი საფეხურით ჩამორჩება ლექსო ინწკირველის, რომან ახალკაცის და გოჩა ტრაპაიძის „ქარვანი“, ირაკლი ვაშაკიძის „თურანი“ კი მეცხრე ადგილზეა...

აზერბაიჯანის ჩემპიონატზე და აქეთურ-იქითურზე „ბაკის“ ერთ-ერთ ლიდერ ალეკო გოგობერიშვილს ვესაუბრეთ...

— წინა სეზონში „ბაკი“ ჩემპიონი გახდა, ახლა კი გუნდი ოდენ მეხუთე ადგილზეა...

— რამდენიმე ისეთი მატჩი ვერ მოვიგეთ, რომ არ გვეპატიება. საგოლე მომენტების ვერგამოყენებამ ძალიან გვაზარალა.

— ამასობაში კი ის გუნდი გალიდერდა, ვისაც ყველაზე მეტი ფული აქვს...

— ასე გამოდის — ლენქორანის „ხაზარი“ აზერბაიჯანში უმდიდრესი კლუბია.

— „ბაკიში“ კარგად ვერ აეწყო საქმე ახალწვეულ გიორგი მეგრელაძეს, არადა, ის საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო — რა დაემართა აზერბაიჯანში?

— ტრავმა აწუხებდა, უკანა კუნთი ისე დაეჭიმა, რომ ოპტიმალურ ფორმაში შესვლა გაუჭიანურდა. თანაც, აზერბაიჯანში ლეგიონერთა რაოდენობა 3+2 პრინციპით ლიმიტირებულია, ანუ მოედანზე ერთდროულად მხოლოდ სამ ლეგიონერს შეუძლია ყოფნა და მეგრელაძესაც არ უწევდა სისტემატურად თამაში. ბოლო პერიოდში კი უკვე კარგ ფორაში შევიდა და თასზე გადამწყვეტი გოლიც გაიტანა.

— ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბაკი“ ბოლნისის „სიონთან“ დამარცხდა (0:2, 1:0) — კიდევ იმ აზრის ხარ, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატი საქართველოსას სჯობია?

— ახლაც ამ აზრის ვარ, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატი ოდნავ მაღლა დგას ჩვენსაზე. „სიონთან“ კი „ბაკიმ“ იმიტომ წააგო, რომ პირველ შეხვედრაში ორი კაცი გაუგდეს, მეორე მატჩში კი რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა.

— აზერბაიჯანის ჩემპიონატში ფინანსები გაიზარდა?

— კლუბების დაფინანსება გაიზარდა, კეთდება სტადიონებიც და მოედნების ხარისხიც გამოსწორდა.

— იანვარში „თანამეგობრობის თასზე“ აზერბაიჯანის ჩემპიონს რა მიზანი აქვს? „ნეფთჩი“ ხომ ამ ტურნირის ბოლო ორ გათამაშებაში ზედიზედ ორჯერ გავიდა ფინალში, წლეულს კი თასიც აიღო...

— კონკრეტული მიზანი არ დაგვისახავს, თუმც ამ ტურნირისთვის სერიოზულად რომ მოვემზადებით, ნაღდია.

— უკვე ორი წელია, აზერბაიჯანში თამაშობ — არ არის დრო, სხვაგანაც მოსინჯო ძალა? ალენ ჟირესის წასვლის შემდეგ ეროვნულ ნაკრებში აღარ მიუწვევიხართ და ალბათ იმიტომ, რომ აზერბაიჯანში თამაშობ...

— აზერბაიჯანში თავს კარგად ვგრძნობ და იქ ისეთი დონე სულაც არ არის, როგორიც ჰგონიათ, თუმც რეალური შემოთავაზება რომ იყოს უკეთესი ჩემპიონატის გუნდიდან, რა თქმა უნდა, წავიდოდი.

— აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველ წრეში ყველაზე უფრო რომელმა ქართველმა გამოიჩინა თავი?

— ადამიამ მართლაც კარგად ჩაატარა პირველი წრე, გოლებიც გაიტანა. ბოლო ტურებში ის გარემარბის პოზიციიდან გამოკვეთილ ფორვარდად გადაიყვანეს.

— 29 წლის ხარ და ფეხბურთელის კარიერის უმეტესი პერიოდი უკვე ჩავლილია — ეს ის იყო, რასაც საკუთარი თავისგან ელოდი?

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, როცა თამაშს დავასრულებ, თუმც, რაც იყო, ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო, მე ამ საქმისთვის მონდომება არ დამიკლია.

დავით თავართქილაძე

გოგუამ რუსეთს რუსეთი უთხრა

სად ითამაშებს საუკეთესო ახალბედა?

გოგიტა გოგუას (მარცხნივ) რუსეთში დარჩენა სურს

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოგიტა გოგუა შვებულებაშია და თან ახალ წინადადებებს განიხილავს.

რა შეხსენება გინდათ, რომ გოგუამ ეს სეზონი ნალჩიკის „სპარტაკში“ გაატარა და „სპორტ-ექსპრესის“ შეფასებით, პრემიერლიგის საუკეთესო ახალბედა გახდა. „სპორტ-ექსპრესის“ ცნობითვე, გოგუას მტკიცედ გადაუწყვეტია რუსეთში დარჩენა...

— ყველა წინადადებას მე კი არა, ჩემი მენეჯერები, ანდრეი ჩერვიჩენკო და მამუკა ჯუღელი განიხილავენ. მე შვებულებაში ვარ და ინფორმაციებს გაზეთებიდან ვგებულობ. მართალია, თურქული კლუბების ვარიანტები საკმაოდ მიმზიდველი ჩანს, მაგრამ მირჩევნია, რუსეთში დავრჩე. პრემიერლიგა ძალიან მომწონს და დარწმუნებული ვარ, იქ თამაშით პროგრესი აუცილებლად მექნება — უთხრა გოგიტამ „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტს.

შეგახსენებთ, რომ გოგუას გადაბირების სურვილი თურქულმა „გალათასარაიმ“ და „ტრაბზონსფორმა“ გამოთქვეს. რუსული კლუბებიდან კი ქართველი ფეხბურთელით მოსკოვის „ლოკომოტივი“, „სატურნი“, „სპარტაკი“ და სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ დაინტერესდნენ.

კახა შალამბერიძე

სახალხო მუჯირი

ქომაგებმა ხმა არ დაიშურეს

სამარის „კრილია სოვეტოვის“ ვებგვერდმა დაასრულა გამოკითხვა, რომელშიც გულშემატკივრებს სეზონის საუკეთესო კრილიელი უნდა დაესახელებინათ. აღრეც გწერდით, რომ გამოკითხვაში ჩვენებური დავით მუჯირი ლიდერობდა და აი, საბოლოო შედეგიც — „ძუძუმ“ 7186 ქულით პირველობა არავის დაუთმო.

გამოკითხვაში 2249 ქომაგმა მიიღო მონაწილეობა და მუჯირი დაახლოებით 27 პროცენტმა დაასახელა საუკეთესოდ.

გავიხსენოთ, რომ ტრავმიანობის გამო მუჯირმა მიმდინარე პრემიერლიგაში ოდენ 18 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

კახა შალამბერიძე

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	ტორინო 0:0	0	ტრავმირებულია	7	1	15
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	დორტმუნდი 3:1	90		13	3	2
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
დავით სირაძე	აუე	შ	კობლენცი 4:1	90	დისკვალიფიცირებულია	13	2	5
მათე ღვინიანიძე	მიუნხენი	ს	ჰანზა 1:1	90		10	0	6
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	დარმშტადტი	ს	ზიგენი 2:1	0		9	0	16
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	შ	ნიუკასლი 1:3	0	ტრავმირებულია	11	0	16
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	ს	აიაქსი 2:2	90	1 გოლი	14	10	2
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	ტილბურგი 3:1	0		1	0	4
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	ბაზელი	ს	აარაუ 3:2	0		3	0	4
უკრაინა. თასის მერვედფინალი								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	ს	დნიპრო 2:1 დ.დ.	0	ტრავმირებულია			
დავით იმედაშვილი	დინამო	ს	დნიპრო 2:1 დ.დ.	0	სარეზერვო გუნდშია			
კახა ალადაშვილი	დნიპრო	შ	დინამო 1:2 დ.დ.	0	სათადარიგო			
რევაზ ბარაბაძე	დნიპრო	შ	დინამო 1:2 დ.დ.	0	სათადარიგო			
სერგო ორბელაძე	ილიჩევეცი	ს	მეტალისტი 0:2	0	სათადარიგო			
საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა								
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	შ	ოფი 1:0	69	შეცვალეს	9	0	9
ლევან მაღრაძე	ქსანთი	შ	აეკ 0:0	90		11	0	5

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ფორცა ლაციო!

სტამბოლ სამი თითი იჯდა

AFP რიდმიდან

მსაჯმა ჩასტვინა თუ არა, მავანმა, მოზეიმე „ლაციოს“ სათადარიგოთა სკამიდან „რომას“ ფეხბურთელებს სამი თითი აჩვენა. ერთი თითის ჩვენება რასაც ნიშნავს ყველამ ვიცით, უზრდელობაა, სამისა კი... ფეხბურთის მატჩის ანგარიშს ნიშნავს და მეტს არაფერს. 3:0 მოგიგეთო, ნიშნს უგებდა ის მავანი ლაციოელი რომაელებს და სწორედ ამით გადარია ისინი. განსაკუთრებით ფრანჩესკო ტოტი და კრისტიან პანუჩი გახელდნენ, ატყდა ერთი გაწევ-გამოწევა

AFP რიდმიდან

„იმისათვის, რომ რომაული დერბისა და ამისი მოგების მნიშვნელობა გაიგო, რომაელი უნდა იყო — თქვა მატჩის შემდეგ „ლაციოს“ მწვრთნელმა დელიო როსიმ — აქ ხალხი მთელი წელიწადის განმავლობაში ამ თამაშს ელოდება და მას სრულ სეზონზე მაღლა აყენებს, თუმცა მატჩის შემდეგ „რომას“ ფეხბურთელებისთვის სამი თითის ჩვენება არ შეიძლებოდა“.

ისე, თითები თითებად და „სტადიო ოლიმპიკოს“ ტაბლოზე დერბი დელა კაპიტალეს შემდეგ 3:0 ეწერა — „ლაციომ“ „რომა“ დასცა.

მხოლოდ ერთს შეგახსენებთ: ოღონდ ამ შეხვედრაში ეთამაშა და ფრანჩესკო ტოტიმ ტრავმაც კი არად დაგიდოთ. სხვა შემთხვევაში ტოტი მოედანზე არ გავიდოდა, ნატკენ ფეხს ბოლომდე მოიშუშებდა, მაგრამ „ლაციოსთან“ შეხვედრა მისთვის სხვა გამღიზიანებელი გახლდათ. „სარბიელის“ მკითხველს ეხსომება თუ რა თქვა „რომას“ ექიმმა მარიო ბროძიმ. ციტატას მოვიყვანთ:

„ტოტის კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ მისი დაყოლიება დერბიში არ ითამაშოს, მეტისმეტად ძნელია. ეს იგივე იქნება, ვინმემ სამსახურის შემდეგ, საღამოს შინ მისულს მაკარონის ჭამა რომ ამიკრძალოს“.

აი, ასეთ თამაშში გამარჯვების შემდეგ დელიო როსიმ განაცხადა: „ეს იყო დიდებული თამაში, რომელშიც სამი გოლის გატანის გარდა ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით. ჩვენ საკუთარ მოლოდინს და შესაძლებლობებს გადავამეტეთ. „რომას“ თავის რგოლებს შორის სწრაფი ურთიერთმოქმედების საშუალება რომ მისცემოდა, აშკარა პრობლემების წინაშე აღვმოჩნდებოდით, მაგრამ ბიჭებმა მეტოქის შემჭიდროვება შეძლეს და თავი ხიფათისგან დაიცვეს“.

ტაქტიკური თვალსაზრისით აშკარა გახლდათ, რომ დედექალაქური დერბის ბედი მოედნის შუაში გადაწყდა.

„საბედნიეროდ, მე მყავს ნახევარდაცვა, რომელმაც კარგად იცის, როგორ უნდა იმოქმედოს ერთსულოვნად და შედეგიანად — განაგრძო დელიო როსიმ — გაბი მუდინგაი, ისევე, როგორც დანარჩენი გუნდი, ახალგაზრდაა და პერსპექტივა აქვს“.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსი მასიმო ოდოს თემა შეიქნა. ოდომ ამ შეხვედრაში პენალტი შეაგდო და ანგარიში გახსნა, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ წინა ტურში, „ფიორენტინასთან“ შეხვედრაში მან შეცვლის გამო დიდი აურზაური ატეხა და ახლა, ამ გოლით ის და დელიო როსი შერიგდნენ.

„ის ჩვენი კაპიტანია და ამიტომ, ბუნებრივია, რომ მისგან გუნდური სულისკვეთების წარმოჩენას ველი. რაც შეეხება შეცვლას, ხანდახან ამის გაკეთება კიდევ შეიძლება მომიხდეს. მე ამ გუნდის თავი ვარ და ისე ვიქცევი, როგორც უკეთესად მიმაჩნია. ჩვენ ერთმანეთში პრობლემები არასდროს გვქონია, ხოლო „რომასთან“ შეხვედრაში მასიმომ ერთხელაც დაადასტურა, რომ ნამდვილი ლიდერია“.

„აქამდე „რომა“ ჩვენზე ძლიერ იყო, მაგრამ ამ საღამოს დავამტკიცეთ, რომ დიდი გუნდი გვყავს — ეს კი საკუთრივ ოდოს სიტყვებია — პენალტის დარტყმა რომ ვითავე? უბრალოდ ჩემი მოვალეობა მოვიხადე. არ მიფიქრია, რომ ლიდერი ვარ და რაიმე განსაკუთრებული უნდა გავაკეთო. ჩვენთან ბევრი ლიდერია“.

სიხარული ვერც „ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ დამალა:

„დღევანდელმა მატჩმა გვანახა, რომ ჩვენ კარგად ვმუშაობთ. იმედი მაქვს, რომ მომავალში ყველაფერი ასეც გაგრძელდება. მინდა ჩემს ბიჭებს დიდი მადლობა გადავუხადო. მათ დღევანდელ დღეს დიდი ენერგია შეალიეს. ფორცა ლაციო!“

შემდეგ პრეზიდენტმა ფანები შეაქო და თქვა, რომ „სტადიო ოლიმპიკო“ მარად თეთრ-ცისფერი დროშებით დაფარული უნდა იხილოს.

„დიდებული გამარჯვება მოვიპოვეთ, თუმცა ახლა მთავარია, მას ზედმეტი მნიშვნელობა არ მივანიჭოთ და ვთქვათ, რომ იგი მიმდინარე პერიოდში ერთ-ერთი მოგებათაგანი იყო. იმედი მაქვს, რომ მეოთხე ადგილზე გავალთ — თქვა ბიანკოჩელესტის კიდევ ერთმა მოთამაშემ გორან პანდევმა, რომელმაც მოინადირა ის პენალტი, ოდომ გოლად რომ გარდასახა — პენალტი ასე იყო: მინდოდა დონის გადავხტომოდი, მაგრამ ის გამომედო. შესაძლოა, ამისათვის მეკარე გაგებებიც იყო, მაგრამ ვფიქრობ, მსაჯმა რობერტო როსეტიმ საბოლოოდ მაინც კარგად გაართვა თამაშს თავი“.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ეს გახლდათ ბოლო ორ წელიწადში პირველი რომაული დერბი, რომელიც „ლაციომ“ პაოლო დი კანიოს გარეშე ჩაატარა.

დერბის დროს განსაკუთრებული დაძაბულობით ფრანჩესკო ტოტისა და მისი მეურვის სივილიას დაპირისპირება გამოირჩეოდა.

სივილია: „რაიმე განსაკუთრებული შეტაკება არ მოგვსვლია. მე, უბრალოდ, ჩემს ფეხბურთს ვთამაშობდი და ვცდილობდი დიდ მოწინააღმდეგეს ღირსეულად დავდგომოდი. გამარჯვებამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. ჩვენ ამაღელვებელი დერბი მოვიგეთ და სულ ეს იყო“.

და ბოლოს, მოვუსმინოთ ფრანჩესკო ტოტის, რომელიც... წაგებასა მსაჯს აბრალებს.

„როსეტიმ ცუდად იმსაჯა. იმას კი არ ვამბობ, რომ „ლაციოს“ ემხრობოდა, მაგრამ მთლიანობაში ვერ გაართვა ამოცანას თავი. მერედა, „ლაციოს“ ფეხბურთელებს უნდოდათ მსაჯს მოედნიდან გავეძევებინე, მაგრამ მე მათ ვაჩვენე ძაურის ქაცვისგან რამხელა ჭრილობა მქონდა ბარძაყზე. მსაჯები არასდროს მიცავენ აგრესიისგან, რასაც მიჩვეული ვარ. წაგებამ რასაკვირველია გამაწბილა, ჩვენებურად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ სხვათაგან განსხვავებით ჩინებულ გუნებაზე ვარ და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ. ახლა, ყველაფერზე მნიშვნელოვანი შემდეგ შეხვედრაში „პალერმოსთან“ გამარჯვება იქნება“.

პაპუნა კედია

სად მამა-პაპა მეგულვის...

ზინედინ ზიდანს ალჟირში რა შეხვედრას მოუწყობდნენ იოლი წარმოსადგენია. მათთვის ვინც არ იცის: საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, რომელმაც ფეხბურთს თვი ამა წლის ზაფხულს დაანება, წარმოშობით ალჟირიდან არის და, ბუნებრივია, ისტორიულ სამშობლოში ეთაყვენებიან.

ზიზუმ აეროპორტი უკომენტაროდ დატოვა, რადგან იქ რომ გაჩერებულიყო გაიჭყლიტებოდა — 150 მარტო ჟურნალისტი, ფოტო და ტელეოპერატორი ელოდა.

ზიდანი ალჟირში დედ-მამასთან ერთად ჩავიდა და, როგორც ამბობენ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა იაჰია გუიდუმმა და ეროვნული სოლიდარობის მინისტრმა ჯამალ ოლდ აბესმა მიიღეს. შემდეგ იგი შავი მერსედესით სოფელ სიდი დაუდისკენ გაემართა. ეს სოფელი დედაქალაქიდან სამხრეთით 80 კილომეტრშია და იქ ზიდანმა 2003 წლის მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებელი პროექტი უნდა წამოიწყოს.

„ზიდანით მოჯადოვებული ალჟირელებისთვის მისი ჩამოსვლა დიდი მოვლენაა“ — წერდა გაზეთი „ელ ვატანი“.

საგულისხმოა, რომ ზიდანის ვიზიტთან დაკავშირებით ალჟირის ხელისუფლებამ უსაფრთხოების ზომები ერთიორად გაამკაცრა. საქმე ის გახლავთ, რომ ცოტა ხნის წინ ქალაქის გარეუბანში უცხოელ მენავთობეთა ავტობუსი ააფეთქეს, რასაც ერთი ალჟირელისა და ცხრა უცხოელის სიკვდილი მოჰყვა. ასეთი რამ ალჟირში დიდი ხანია აღარ მომხდარა.

მიწისძვრამ, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, 2300 ადამიანი იმსხვერპლა, 10 ათასზე მეტი დაასახიჩრა, ხოლო 100 000 უსახლკაროდ დატოვა.

ალჟირის პრეზიდენტმა აბდელაზიზ ბუტეფლიკამ ზიდანს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი უწოდა.

შეგახსენებთ, რომ ზინედინ ზიდანის მშობლები ალჟირიდან (მოსახლეობა 33 მილიონი) საფრანგეთში 1962 წელს გადაბარგდნენ.

პაპუნა კედია



ფაბრეგასმა და კოულმა იჩხუბეს

კვირა საღამოს დიდ თამაშს „ჩელსის“ და „არსენალს“ შორის იოლად არ ჩაუვლია: მძიმე ფრემ არც ერთი მენეჯერი არ დააკმაყოფილა თუმცა, არსენ ვენგერი თავიდანვე საომრად იყო მოქოქილი და ადრევე თქვა, რომ „ჩელსი“ დიდი კლუბი არ არის, მოსაწყენ ფეხბურთს თამაშობს, ცოტა გულშემატკივარი ჰყავს და თავისი რეალური იერით ბასკურ „ალავესს“ ჩამოჰგავს

არსენ ვენგერი: ჩელსიც კარგი ალავესია

ეშლი კოული: ვიცი, ვინ ესროლა პიცა ფერგის

„არსენალის“ ნამდვილი მოცულობა უსაზღვროა - თქვა ვენგერმა - როცა ახალ სტადიონს ვაშენებდით, ვბჭობდით, რამდენ ათასიანი უნდა ყოფილიყო. მაქსიმუმი, 60 ათასი ავიღეთ და დღეს ყველა ხედავს, რომ ეს ძალიან ცოტაა. მადრიდის „რეალი“ უფრო დიადი კლუბია, თუნდაც „ალავესი“ ერთ წელიწადს მასზე უკეთ თამაშობდეს.“ კვირის თამაშმა „რეალ“-„ალავესის“ საკითხი ვერ გაარკვია. „არსენალი“ კვლავაც 10 ქულით ჩამორჩება „ჩელსის“. თამაშნაკლული „ჩელსი“ კი 8 ქულით — ლიდერ „მანჩესტერს“.

ჟოზე მაურინიუ თამაშის შედეგმა არ დააკმაყოფილა, მაგრამ „არსენალს“ მაინც უკბინა: „ლიდერს 18 ქულით ჩამორჩებიან და აქ მაინც ფრეზე სათამაშოდ მოვიდნენ. თუ ჩემპიონობა გინდა, მოგებაზე უნდა ითამაშო. სერ ალექსი ამ შედეგით ძალიან ბედნიერი იქნება თუმცა, არ უნდა იფიქროს, რომ საჩემპიონო ბრძოლა დასრულდა. ჩვენ მზად ვართ.“

კვირის თამაში განსაკუთრებული იყო ეშლი კოულისთვის, რომელიც პირველად თამაშობდა თავისი მშობლიური გუნდის წინააღმდეგ და ამბობდა, „მეთოფე“ ფანებს უნდა ვაჩვენო, ვინ დაკარგესო.

კოულისთვის დღე მშვიდობიანად არ დასრულებულა. თამაშის მიწურულს მას წაკინკლავება მოუხდა სესკ ფაბრეგასთან და უკვე გვირაბში, მას ფაბრეგასმა ხელი აღარ ჩამოართვა, რასაც გაწევ-გამოწევა მოჰყვა.

კოულს თავის სკანდალურ ავტობიოგრაფიაში ფაბრეგასი არცთუ ტაბილად ჰყავს მოხსენიებული. კოული, რომელიც „არსენალიდან“ დიდი დავიდარაბით წამოვიდა, წერს: „მე ვერაფერს ვეტყვით ტურეს, ებუს, რეიესის, ფაბრეგასის ან სენდეროსის შესახებ. არ ვიცი, ჰყავთ თუ არა გელფრენდები, ოჯახები, სად დადიან, რით სუნთქავენ... ჩვენ ვიეირას წასვლამ წაგვახდინა. ფაბრეგასს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის პატრიკი ვერ არის. ეს იმას ჰგავს, მძიმე წონის ჩემპიონის ხელთათმანები გამოუცდელმა საშუალოწონასანმა მოირგოს.“

იმავე წიგნში კოულმა მიანიშნა თუ ვინ ესროლა პიცის ნაჭერი „ოლდ ტრეფორდის“ ბუფეტში ატეხილი ჩხუბისას სერ ალექს ფერგიუსონს: „რაც შემიძლია ვთქვა ისაა, რომ ეს ვაუკაცი არც ფრანგი იყო და არც ინგლისელი, ასე რომ თავად გამოიცანით.“

ჰოდა, რაღა ხელს ჩამოართმევდა.

ირაკლი გამყრელიძე

გარი ხუთასიანი

აწ „ბოლტონში“ მოთამაშე უელსელი, 37 წლის გარი სპიდი პირველი კაცი შეიქნა, პრემიერლიგაში 500 მატჩი რომ ითამაშა.

შაბათს „ბოლტონმა“ 4:0 მოუგო „ვესტ ჰემს“ და გარიმ სამი საგოლე პასით აღნიშნა დღე. 14-წლიან პრემიერლიგურ კარიერაში სპიდმა მხოლოდ 60 თამაში გააცდინა „ლიდსის“, „ევერტონის“, „ნიუკასლისა“ და „ბოლტონის“ შემადგენლობაში. ასევე 14 წელიწადი ეცვა მას უელსელთა სანაკრებო სამოსი და ეროვნულ გუნდს თავისი სურვილით გამოეთხოვა 2 წლის წინათ. სპიდი უელსის ყველაზე ბევრკეპიანი ფეხბურთელია 85 თამაშით.

1996-97, 1998-99, 2003-04 და 2004-05 წლებში მას საერთოდ არც ერთი პრემიერლიგური მატჩი არ გაუცდენია...

„გარი უნიკალური პროფესიონალია — თქვა ალან შირერმა — ახალგაზრდებისთვის სამაგალითო კაცი, რომელმაც საკუთარი ჯანის განაწილება იცის“.

„ასაკზე არ ვფიქრობ — თქვა თავად სპიდმა — რომ ვიფიქრო, მივხვდები, რომ ბებერი ვარ. თამაშს რომ გამოვეთხოვები, საამაყო რამე მექნება“.

ირაკლი გამყრელიძე

თქვენ ერთად არ გნახოთ!

შაბათს მადრიდში გაგოს ელიან



შაბათს „სევილიასთან“ ფაბიო კაპელომ საამსეზონო პრიმერაში „რეალის“ ძირითადში რონალდოსა და რუუდ ვან ნისტელროის მოიერიშე წყვილი პირველად ათამაშა. ამ დუეტისგან მადრიდული ინჩადა დიდ მიღწევებს ელოდება, თუმცა „რეალმა“ თითქმის ყველა ის თამაში წააგო, რომელშიც ბრაზილიელი და ჰოლანდიელი სამეფო გუნდის წინა ხაზზე ერთად აღმოჩნდნენ. ნისტელროიმ და რონალდომ ერთად პრიმერადივიზიონის ოთხ მატჩში ითამაშეს, რომელთაგან სამში („ხეტაფესთან“, „სელტასთან“ და „სევილიასთან“) მადრიდულმა გრანდმა მოედანი წაგებულმა დატოვა. 2006-07-ის პრიმერადივიზიონში კი „რეალმა“ მარცხი სულ ოთხ შეხვედრაში განიცადა.

სევილიაში კაპელოს მიერ განაპირა მოიერიშეების დაუხმარებლად აქცენტის მარტო „ორმაგ ცხრიანზე“ გადატანამ შედეგი ვერ მოიტანა. ეს ძირითადად „რეალის“ ცენტრის სისუსტის გამო მოხდა — სამეფო თეთრების ტვინად მიჩნეულმა გუტიმ კარგად ვერ იბურთავა და ფორვარდებიც ცუდ დღეში ჩაცვივდნენ. რონალდოსა და ვან ნისტელროის პასებით არც ზურგიდან ამარაგებდა ვინმე და არც ფლანგებიდან.

ვან ნისტელროის კი საგოლე გვალვა აწუხებს — უკვე ერთი თვეა, რაც ექსმანჩესტერელს მეტოქის კარი არ დაულაშქრავს. ნავარაში „ოსასუნასთან“ შესრულებული ბრწყინვალე პოკერის შემდეგ რუუდს გოლის გემო დაავიწყდა. „ოსასუნამდე“ კი „ბერნაბეუს“ გუნდის მოიერიშემ „ბარსელონას“ (1) და „ლევანტეს“ (3) გაუტანა. საამსეზონო ჩემპიონატის 14 შეხვედრაში ჰოლანდიელის ანგარიშზე სულ 8 გოლია, ოღონდ ამ თოთხმეტიდან 11 შეხვედრაში ვან ნისტელროი მოედნიდან „მშრალად“ გავიდა. გარდა „სელტასთან“ ჯახისა, ალექს ფერგიუსონის ყოფილი შეგირდი ყველა საპრიმერო მატჩში ძირითადში გახლდათ. „სელტასთან“ რუუდი შეცვლაზე შევიდა. იქ სასტარტო თერთმეტში რონალდო დახვდა და ერთად 14 წუთი ითამაშეს. და ფაბიო კაპელომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თავისი პირველი მატჩიც წაგო...

ეს მათი მეორე შეხვედრა იყო. პირველად დუეტმა „ხეტაფესთან“ იბურთავა, როცა მეორე ტაიმში რონალდომ ანტონიო კასანო შეცვალა. ვან ნისტელრომ და კიჭამ მოედანზე ერთად 45 წუთი დაყვეს, „რეალმა“ კი ბერნდ შუსტერის გუნდთან 0:1 წააგო და რონალდომაც წითელი ბართი აიკიდა.

მესამეჯერ უკვე სევილიური კოშმარი გათამაშდა. რონალდო და ჰოლანდიელი ძირითადში იყვნენ, თუმცა სამეფო გუნდი მხოლოდ ბექემის ფანტასტიკურად შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ დაწინაურდა. რუუდ ვან ნისტელროი ანდალუზიელმა მცველებმა ჩაკეტეს, ხოლო კიჭას წესით უნდა გაეტანა, თუმცა პალოპთან პირსპირ დარჩენილმა „სევილიას“ მეკარის დაჯაბნვა ვერ შეძლო. მცირე ხანში, 68-ე წუთზე, კაპელომ რონალდო რობინიოთი შეცვალა, რომელსაც იმ დღეს ფასეული არაფრი გაუკეთებია.

უიღბლო წყვილმა სულ ორი თამაში მოიგო. ერთი პრიმერაში „ბილბაოსთან“, როცა „ბერნაბეუზე“ რონალდოსა და რობერტო კარლოსის გოლებმა ბასკებს იქამდე გატანილი გაუუფასურეს და მეორე კოპა დელ რეიზე, სეგუნდა დივიზიონის უსახურ „ესიხასთან“, რომელსაც მეორე ტაიმში ვან ნისტელროიმ ორი შეაგდო, რონალდომ კი ერთი.

მადრიდში კი სავარაუდოდ შაბათს არგენტინელი ფერნანდო გაგო ჩავა. „ასის“ ცნობით, „რეალი“ „ბოკა ხუნიორსს“ 17 მილიონ ევროს გადაუხდის და ფერნანდოც სამეფო თეთრების ფორმას მოირგებს.

ლადო ხოდერიძე

ბერლუსკონიმ არასწორი ნათქვამი გაასწორა



დონ სილვიო ბერლუსკონის ბოლო დროს ყველაფერმა ერთად შეუტია. პოლიტიკაში მას საქმე მთლად წარმატებით არ მისდის, ჯანმრთელობამაც შეანუხა და გარკვეული პერიოდი საავადმყოფოში გაატარა. ამ სეზონში არც მისი კლუბი „მილანი“ ბრწყინავს. „როსონერის“ 70 წლის პრეზიდენტს „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტი ეწვია და ინტერვიუ სთხოვა

— ნუთუ არ ბრაზდებით „მილანის“ ბოლოდროინდელ თამაშზე?

— გუნდის მწვრთნელ კარლო ანჩელოტის მესმის, მაგრამ მე ისეთი გაბრაზებული არ ვარ, როგორც იგი. თუმცა ეს სიტუაცია არ მომწონს, რადგან წაგება არ მიყვარს. ისიც სათქმელია, რომ ფეხბურთელები ამჟამად ყველაფერს აკეთებენ, რაც შეუძლიათ. ვერ ვიტყვით, რომ ისინი ბოლომდე არ იხარჯებიან.

— რით ახსნით ამ მდგომარეობას?

— ლაზარეთში ცხრა ფეხბურთელი გვყავს, რის გამოც დაცვის ხაზი ფაქტობრივად დაშლილია. კაფუსა და სერჟინიოს ტრავმები აქვთ, არადა, ისინი „მილანში“ წამყვანი ფიგურები არიან. არც თავდასხმაში გამოვიყურებით ეფექტურად, ძალიან ცოტა გოლი გაგვაქვს, თუმცა ამ ყველაფერს იმიტომ არ ვამბობ, რომ მწვრთნელს ან ფეხბურთელებს ვუსაყვედურო. უბრალოდ, ახლა ასეთ ვითარებაში ვართ. ამ პრობლემების ფესვები ზაფხულშია. კალჩოპოლის განაჩენმა და ჩვენმა უსამართლოდ დასჯამ გუნდზე უარყოფითად იმოქმედა.

— იანვარში კლუბის გაძლიერებას არ აპირებთ?

— სატრანსფერო ბაზარზე ისეთ ფეხბურთელებს ვერ ვხედავ, რომლებიც სიტუაციის რადიკალურად შეცვლას შეძლებენ.

— ამბობენ, „მილანს“ ახალი მეკარე ეყოლება, რადგან დიდხანს კონტრაქტი ჯერ კიდევ არ გახანგრძლივებულაო...

— ჩვენ უკვე გვყავს მეკარე. პირადად ჩემთვის დიდა მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერია. მას არ გაუმართლა, ტრავმა მიიღო, მაგრამ მწყობრში ჩადგება და, ვფიქრობ, გუნდში დარჩება. ასე რომ, მის ნაცვლად ვინმეს ყიდვის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

— ანდრეი შევჩენკოს შესაძლო დაბრუნებაზე რას იტყვით?

— ჩემზე რომ იყოს, მას ახლავე დავაბრუნებდი. არ დაგვავიწყდეს, რომ წასვლა თავად ანდრეიმ გადაწყვიტა და მე მისთვის პრობლემები არ შემიქმნია. ამიტომ, მას სიხარულით შევხვდები. თუმცა, სიმართლე გითხრათ, შევჩენკოს დაბრუნება ძალიან ძნელი იქნება. არა მგონია, „ჩელსი“ მის გაშვებაზე თანახმა იყოს.

— შესაძლოა, ანჩელოტი იმაზე ნერვიულობს, რომ იცის, მის შეცვლაზე ფიქრობენ...

— ანჩელოტის შეუძლია, მშვიდად იყოს. უკვე ვთქვი და გავიმეორებ — ჩვენ არ გვქონია და არ ვაპირებთ მოლაპარაკებას სხვა მწვრთნელებთან. „მილანს“ ჰყავს მწვრთნელი და ყველანი ბოლომდე ვენდობით ჩვენს კარლიტოს.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ „მილანის“ ამ შემადგენლობის წარმატებები უკვე წარსულშია და ყველაფრის შეცვლაა საჭირო?

— ერთს ვიტყვი: არ შეიძლება, ყოველთვის იგებდე. ეს გარდამავალი სეზონია და კიდევ გავიმეორებ, რომ იმ სასჯელმა, რომელიც „მილანს“ დაეკისრა, საქმე გაგვირთულა. მერე ამას სხვა პრობლემებიც დაერთო. თან არ გვიმართლებს, მაგრამ ამას ბოლო მოვუბამ. ჩემი შესვენება დაგვეხმარება და მომავალ წელს „მილანი“ ისევ დიდი გუნდი იქნება. ჩვენ იტალიაშიც და ევროპაშიც ყოველთვის წამყვან როლს უნდა ვასრულებდეთ. ერთი რთული სეზონი ვერ გადაწონის იმ ყველაფერს, რაც აქამდე გაგვიკეთებია. ეს უფრო სტიმული იქნება ახალი გამარჯვებებისთვის. ბოლოს და ბოლოს ამ სეზონშიც გვაქვს იტალიის თასისა და ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი.

— ვის გინდათ შეხვდეთ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში?

— ძლიერი მეტოქეები სტიმულს მატებენ „მილანს“. მინდა, წიღლისყრამ „ბარსელონა“ ან „რეალი“ გვარგუნოს, რადგან მეორე ადგილზე გასულ კლუბებს შორის ისინი საუკეთესონი არიან.

— რას გრძნობთ „ინტერის“ ბრწყინვალე თამაშისა და წარმატების შემხედვარე?

—ვფიქრობ, ეს „ინტერის“ წელია. „ნეროაძურის“ სკუდეტოს მოგების საუკეთესო შანსი აქვს, რადგან ძლიერი გუნდია, თან ეს ჩემპიონატი წინებზე მარტივია, გასაგები მიზეზების გამო. ადრე ჩემს სიტყვებს არასწორად იგებდნენ ხოლმე, ამიტომ ყოველგვარი ირონიის გარეშე ვიტყვი: გულწრფელად მიხარია მასიმო მორატის ეს წარმატებები, რადგან იგი იმსახურებს ამას.

პაველ პალადინო

ნედვედის დასასრული ტყუილია

ტურინის „იუვენტუსმა“ გასულ შაბათს „ვერონას“ მოკრძალებული ანგარიშით 1:0 მოუგო და ბოლო და ბოლოს სერია B-ს ლიდერადაც იქცა. ერთადერთი გოლი მაურო ხერმან კამორანეზიმ ეფექტური თავურით გაიტანა. ალბათ იცით, რომ სერია A-ში კამორანეზის დებიუტი სწორედ „ვერონას“ რიგებში შედგა და „ბებერმა ქალბატონმაც“ იგი ვერონელთაგან იყიდა.

„კმაყოფილი ვარ, მაგრამ ნაადრევი ზეიმი საჭირო არ არის — ეს პირველი ადგილი ჯერ მხოლოდ სტატისტიკაა. მთავარია, სეზონის ბოლოსაც ცხრილის სათავეში ვიყოთ. მეორე ტაიმი უკეთ ჩავატარეთ. უფრო ჭკვიანურად და მიზანმიმართულად ვირჯებოდით, ფეხბურთელებს შორის შეთანხმებული მოქმედებაც იგრძნობოდა“ — თქვა ტურინელთა მწვრთნელმა დიდიე დეშანმა.

„იუვენტუსს“ ტრავმების გამო კვლავ რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, გუნდს დაახლოებით ერთთვიანი პაუზის მერე დაუბრუნდა კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო. არ იყო პაველ ნედვედი, რომელმაც ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციის პირველი შეხვედრა მოიხადა. მის მხარდასაჭერად ტურინის „სტადიო ოლიმპიკოზე“ ქომაგებმა რამდენიმე ტრანსპარანტი გამოფინეს.

„ნედვედის არყოფნა ჩვენთვის დიდი პრობლემაა, თუმცა მის პოზიციაზე რაფაელე პალადინომ ბრწყინვალედ ითამაშა, რითაც კიდევ ერთხელ გამოაჩინა მისი მაღალი კლასი და ნიჭი. რაც შეეხება დელ პიეროს, მისი თამაშით კმაყოფილი დავრჩი. გადავწყვიტე, ალექსი მაშინ ჩამერთო მატჩში, როცა მეტოქის ფეხბურთელები დაიღლებოდნენ. მიუხედავად საკმაოდ დიდი პაუზისა, იგი მშვენივრად გაისარჯა და საგოლე მომენტის შექმნა“ — დასძინა დეშანმა.

შეგახსენებთ, რომ „ჯენოასთან“ მატჩში სტეფანო ფარინას მიერ გაძევებული ნედვედი ძალიან გაბრაზდა და როცა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, ისიც თქვა, კარიერას საერთოდ დავასრულებო. თუმცა ახლა ჩეხმა თავის წარმომადგენელ ტომაშ კლეჩკას მეშვეობით ეს ინფორმაცია უარყო.

„მედიაში ტყუილი ცნობები გავრცელდა, არ ვიცით, ვის და რაში დასჭირდა ეს. პაველი კარიერის დასრულებას ნამდვილად არ აპირებს“ — განაცხადა კლეჩკამ.

გიორგი ძაძაგაძე

ჰერდიუ მიაჩაქუჩეს

მისავათებული „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი ალან პერდიუ გუშინ მოხსნეს. „ჩაქუჩებმა“ ბოლო ექვს ტურში ხუთი მატჩში წააგეს, მათ შორის ორი ახალი პატრონის, ირლანდიელი ეგერტ მაგნუსონის მისვლის შემდეგ. ამჟამად „ვესტ ჰემი“ მე-18 ადგილზეა და გასულ უქმეებზე „ბოლტონთან“ სტუმრად 0:4 დამარცხდნენ. მათ სამი ქულა აშორებთ ბოლოადგილოსან „უოტფორდისგან“.

მაგნუსონი კლუბის შეძენის მერე ალან პერდიუს ესაუბრა და აუხსნა, რომ მის მოხსნას არ აპირებდა. უთხრა, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას გუნდის გაძლიერებლად ფეხბურთელებს უყიდდა, მაგრამ რაკი „ვესტ ჰემი“ ქვედა სამეულში აღმოჩნდა, განგაში ატყდა და მწვრთნელს კარისკენ მიუთითეს. ეგერტ მაგნუსონის საქმიანი პარტნიორი, ირლანდიელმა ბანკირი ბიორგოლფურ გუდმუნდსონი, რომელიც ასევე კლუბის თანამეპატრონეა, „ბოლტონთან“ წაგებულ მატჩს დაესწრო და როგორც ჩანს, მისი მოთხოვნით მოხსნეს მწვრთნელი. აბა, 85 მილიონი იმისთვის ხომ არ გადაიხადა, რომ „ჩაქუჩები“ ქვედა ლიგაში გავარდნენ.

„პერდიუმ დიდი სამუშაო გასწია, მას შემდეგ რაც გუნდის თავკაცი გახდა 2003 წლის სექტემბერში, მაგრამ ამ სეზონში საქმე აშკარად ველარ ააწყო — ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში — კლუბის ახალი შეფები ყურადღებით აკვირდებოდნენ გუნდს და გადაწყვიტეს, რომ სწორედ ახლაა კარგი დრო ცვლილებებისთვის.“

„ჩაქუჩებს“ დროებით, ალან პერდიუს თანაშემწე კევინ კინი უთავკაცებს. მის დებიუტი კვირას, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ საშინაო მატჩში შედგება. შემდეგ „ვესტ ჰემს“ „ფულემთან“, „პორტსმუთთან“, „მანჩესტერ სიტისთან“ და „რედიგნთან“ შეხვედრა უწევს.

ინგლისური მედიის ცნობით, „ჩაქუჩების“ მწვრთნელობის კანდიდატები არიან ალან კერბიშლი და სვენ გორან ერიკსონი.

ალან პერდიუს ხელში „ჩაქუჩებმა“ 163 მატჩში ითამაშეს, 67 მოიგეს და 62 წააგეს.

ირაკლი ნინიძე

დიეგო და დიეგო

მარადონას სიმეონე ანერვიულებს



AFP ბუენოს აირესიდან

არგენტინა

აპერტურა. XIX ტური

ინდეპენდიენტე — ხიმნასია (ხ) 1:2; სან ლორენსო — კილმესი 2:4; გოდოი კრუზი — რასინგი 0:0; ნუევა ჩიკაგო — ოლდ ბოისი 2:1; ხიმნასია (ლ) — არგ. ხუნიორსი 1:0; ველესი — რივერ პლეიტი 1:1; ბანფილდი — ბელგრანო 3:1; როსარიო — კოლონი 3:0; ბოკა ხუნიორსი — ლანუსი 1:2; ესტუდიანტესი — არსენალი 2:0

„ბოკა ხუნიორსს“ „ლანუსთან“ ფრეღა უნდოდა და არგენტინის ორი ჩემპიონატიდან ერთის, აპერტურას ჩემპიონიც ხდებოდა, მაგრამ მოულოდნელად, საკუთარ კედლებში 1:2 წააგო და ამ საქმიდან ის გამოვიდა, რომ ახლა „ესტუდიანტესთან“ გადათამაშება უწევს.

იმ დრამატულ საღამოს „ესტუდიანტესმა“ „არსენალთან“ შეხვედრაში ორი გვიანი გოლი შეაგდო და 18 გუნდიან ცხრილში 44 ქულა მოაგროვა, ზუსტად იმდენი, რამდენიც „ბოკამ“, არგენტინული წესების თანახმად კი ასეთ დროს გოლების სხვაობას მნიშვნელობა ეკარგება.

საინტერესოა, რომ „ბოკამ“ წინა ტურშიც წააგო. მაშინ მისი მძლეველი გახლდათ „ბელგრანო“, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, როგორც გითხარით, დიეგო მარადონას საყვარელ გუნდს ბოლო ტურში ერთადერთი ქულა სჭირდებოდა, რომელიც... ვაგლახ ვერ მოიპოვა. ისე, თავიდან „ბოკა ხუნიორსი“ დაწინაურდა, ანგარიში პენალტით მარტინ პალერმომ გახსნა, მაგრამ „ლანუსი“ „ლა ბომბონერაზე“ შეკრებილი ხალხის (მათ შორის ვიპ ლოჟაში მჯდომი დიეგოს) ყიჟინას არ შეეპუა და კლაუდიო გრაფისა და როდრიგო არჩუბის გოლებით მასპინძლებს ზედიზედ მესამე ტიტულის მოპოვება სულ მცირე გადაუვადა.

და მაინც შეიძლებოდა ჩემპიონობა. ამისათვის „ესტუდიანტესს“ არ უნდა მოეგო, თუმცა, იცით ვინ არის ამ გუნდის მწვრთნელი? დიეგო სიმეონე, ევროპელი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობი ყოფილი ფეხბურთელი, რომელსაც ყოველთვის უკომპრომისო ხასიათით გამოარჩევდნენ და როგორც ჩანს მან ეს უკომპრომისობა თავის ფეხბურთელებსაც გადასდო — „ესტუდიანტესმა“ 0:0 2:0-ად ბოლო ხუთ წუთში გადააკეთა.

ცნობისთვის, „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელმა რიკარდო ლა ვოლპემ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მექსიკის ნაკრების სათავეში ვიხილეთ, პარასკევს განაცხადა, რომ თუ გუნდს ტიტულს ვერ მოაგებინებდა, თანამდებობიდან წავიდოდა. ლა ვოლპე „ბოკას“ სათავეში შუა სეზონში ალფეო ბასილეს ნაცვლად მივიდა. მიზეზი: ბასილე არგენტინის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს.

ზემოთ ვახსენეთ, რომ მასპინძლებმა ანგარიში პენალტით გახსნეს. აგუსტინ პელეტერიმ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, რისთვისაც მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა და ეს დარტყმა, როგორც მოგახსენეთ, პალერმომ შეაგდო.

„ლანუსმა“ შესვენებამდე ერთი წუთით ადრე გაათანაბრა: ლაუტარო აკოსტამ მარჯვნიდან ჩააწოდა, ხოლო გრაფმა ამ სეზონში თავისი მეცხრე გოლი შეაგდო თავურით. 58-ე წუთზე კი ანგარიშის გათანაბრებით ნაწვნევი შოკი გაორმაგდა — არჩურბიმ წაფორხილების მიუხედავად, საჯარიმოს კიდიდან დაბალი დარტყმით მეორე შეაგდო.

მასპინძელთაგან მდგომარეობის გამოსწორების შანსი ხელიდან კვლავ და კვლავ პალერმომ და დანიელ დიასმა გაუშვეს. ხოლო „ესტუდიანტესმა“ 86-ე წუთზე ასე გაიტანა: ხუან ვერონმა, რომელიც სავარაუდოდ არ დაგვიწყებია და ამიტომ მისი შეხსენებით თავს მაინცა და მაინც არ შეგაწყენთ, მაღლა ჩაჯდა, ხოლო აგუსტინ ალაიესმა თავით გაიტანა „ბოკას“ გულის გასახეთქი პირველი გოლი. მსაჯის წამატებულ წუთებზე მეორე მარიანო პავონემ გაიტანა.

პაპუნა კედია

ყველაზე მექსიკური გვადალახარა

მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი

ფინალი. საპასუხო მატჩი

ტოლუკა 1:2 გვადალახარა (1:1)

1:0 მარიონი (18), 1:1 ფ. როდრიგესი (51), 1:2 ბაუტისტა (69)

მექსიკის ყველაზე სახალხო გუნდმა „გვადალახარამ“ აპერტურას ჩემპიონის ტიტული მოიგო, მაგრამ გამარჯვების დღე გვარიანად დრამატული აღმოჩნდა — სტუმრად „ტოლუკასთან“ 0:1-ს აგებდა და 2:1 მოიგო. ეს გახლდათ ფინალის მეორე მატჩი.

„გვადალახარამ“, რომელსაც პრინციპად მხოლოდ მექსიკელი ფეხბურთელებით თამაში აქვს, გოლები მეორე ტაიმში შეაგდო, ეს ფრანსისკო როდრიგესმა და ადოლფო ბაუტისტამ შეძლეს. აღსანიშნავია, რომ გუნდი, რომელიც 2002 წელს ბიზნესმენმა ხორხე ვერგარამ იყიდა, ამ მეპატრონის ხელში პირველად გახდა ჩემპიონი, ხოლო ისტორიაში სარეკორდო მე-11 ტიტული მოიგო, ერთადერთია მექსიკის ლიგაში, უცხოელებით თამაშს კატეგორიულად რომ უარყოფს.

ფავორიტად „ტოლუკა“ ითვლებოდა. მიზეზი: ერთი კვირის წინ, პირველ შეხვედრაში, გვადალახარაში, 1:1 ითამაშა. ჰოდა, როდესაც ფავორიტს გოლიც გააქვს, ბუნებრივია, ჯილდოს ერთი-ორადაც უახლოვდება — ბრუნო მარიონიმ ჩემპიონატში თავისი მე-14 გოლი გაიტანა. ეს ასე მოხდა, ვისენტე სანჩესმა მაღალი ბურთი ჩააწოდა, ხოლო არგენტინელმა პირწმინდად მექსიკელთა გუნდს თავური შეუგდო და „ლა ბომბონერას“ სტადიონი (ამ და ბუენოს აირესის ცნობილი სარბიელების სახელები ერთმანეთს ემთხვევა) გაახარა, მაგრამ მუნდიალზე ნანახი მექსიკის ნაკრების მთავარი ბირთვი არ შედრკა, შესვენებიდან შვიდი წუთის შემდეგ გაქვითა ანგარიში — რამონ მორალესმა საჯარიმოდან ჩაჰკიდა, ხოლო იანკი როდრიგესი გაფრინდა და თავური შეაგდო.

67-ე წუთზე „ტოლუკას“ მეკარემ ერნან კრისტანტემ ალბერტო მედინას საუცხოოდ აუღო, მაგრამ ორი წუთის შემდეგ ადოლფო ბაუტისტამ საჯარიმოს გარედან გამარჯვების გოლი შეაგდო.

თამაშის ბოლოს ანგარიშის გათანაბრების შანსი მასპინძლებს ჰქონდათ (ცნობისათვის: მათ 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელი ამერიგო გალიეგო წვრთნის) მაგრამ არიელ როსადას დარტყმული მეკარე ოსვალდო სანჩესმა მოიგერია.

პაპუნა კედია

ივიცა ეცის სპარტაკი და რეინჯერსი

მოსკოვის ცსკა-ს ხორვატმა ფორვარდმა ივიცა ოლიჩმა განაცხადა, რომ შესაძლოა, კარიერა გლაზგოს „რეინჯერსში“ გააგრძელოს. ყოველ შემთხვევაში, კლუბის გამოცვლა გადაწყვეტილი აქვს. „ჩაფრების“ გარდა, მისთ ბუნდესლიგისა და ინგლისური პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი, ასევე მოსკოვის „სპარტაკია“ დაინტერესებული. მისი არმიელთა რიგებში დარჩენა ალბათ გამორიცხულია, 27 წლის თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, რაც არ მოსწონს. კლუბთან მის მოქმედ კონტრაქტს ექვს თვეში გასდის ვადა. ოლიჩი 4 მილიონ გირვანქად ფასდება.

„ცსკა-ს დატოვება გადაწყვეტილი მაქვს. „სპარტაკი“ ჩემით მართლაც დაინტერესებულია და მომხიბვლელ კონტრაქტს მთავაზობს, თუმცა მოლაპარაკება ჯერ არ დაგვწყია, რადგან ცსკა-სთან კიდევ ექვსთვიანი კონტრაქტი მაკავშირებს და არსად არ მეჩქარება. შესაძლოა, უკეთესი ვარიანტიც გამოჩნდეს. ჩემმა აგენტმა „რეინჯერსის“ შეხვედრაც მაცნობა. არიან მსურველები ინგლისიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდანაც, მაგრამ ახლა არ მინდა, დავკონკრეტდე. არჩევანის წინაშე რომ დავდგე, რუსეთი თუ შოტლანდია, ალბათ რუსეთს ავირჩევ, რადგან აქაური პრემიერლიგა უფრო მაღალი დონისაა. თუმცა იმის შანსი, რომ კარიერას სხვა ქვეყანაში გავაგრძელებ, ორმოცდაათი ორმოცდაათზეა“ — თქვა ოლიჩმა.

კოკი კანდელაკი

დამჭრელი იპოვეს

20 წლის რობერტ რიმერს ბრალად „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ ფეხბურთელ რონი ვალვორკზე თავდასხმა და ფიზიკური ზიანის მიყენება ედება. რიმერი პოლიციამ ორშაბათს დაიკავა და მალე მას მანჩესტერული სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს.

29 წლის ვალვორკმა თავდამსხმელისგან ჭრილობები ზურგის, ხელის და მუცლის არეში მაშინ მიიღო, როცა ერთ-ერთი მანჩესტერული ღამის ბარიდან გამოდიოდა. ფეხბურთელი გადარჩა, თუმცა 30 ნოემბრიდან, ანუ ინციდენტის დღიდან მოყოლებული დღემდე ჰოსპიტალში რჩება.

ინგლისელი მობურთალი საამსეზონ-დ იჯარით „ბარნსლიში“ თამაშობდა. „ვესტ ბრომვიჩში“ იგი 2002 წელს „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მივიდა, სადაც 1996 წელს საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ აღიარეს.

მოგახსენებთ, რომ აგრესიულობა თავად ვალვორკსაც ახასიათებს. 1999 წელს სადღეისოდ რიმერისგან დაზარალებული კაცი მავან არბიტრს დაესხა თავს, რის გამოც თავიდან სამუდამო დისკვალიფიკაცია აჰკიდეს, თუმცა შემდეგ სასჯელი შეუმცირეს და მოედანს მხოლოდ სამი წლით ჩამოაშორეს.

დიდებული დაკრძალვა

შაბათი განსაკუთრებული დღე იყო სანტამარიას, ამანსიოს, ზოკოსა და ველასკესისთვის — მადრიდის „რეალის“ ძველჩაუქი ვეტერანები ბუდაპეშტში დიდ მეგობარს და ლეგენდარულ თანაგუნდელს ფერენც პუშკაშს სამუდამოდ დაემშვიდობნენ. მითიური უნგრელის დაკრძალვას „რეალის“ მხრიდან სპორტული დიდმოხელეებიც დაესწრნენ —სამეფო გუნდის პრეზიდენტი რამონ კალდერონი და საერთაშორისო ურთიერთობებში კლუბის პასუხისმგებელი დირექტორი ლოპეს სერანოც. სამგლოვიარო ცერემონიალის შემდეგ მადრიდში დაბრუნებულ კალდერონს „ასი“ გაესაუბრა

AFP ბუდაპეშტიდან

AFP ბუდაპეშტიდან

— ბუდაპეშტში ფერენც პუშკაშის დაკრძალვის ცერემონიალი შთამბეჭდავი გამოდგა...

— ვიტყოდი, რომ მსგავსი დიდებული დაკრძალვა არასოდეს მინახავს. მახსოვს, როცა ფრანკო გარდაიცვალა, მადრიდში მისი დასაფლავების დროს ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა, მაგრამ ბუდაპეშტში ფერენც პუშკაშთან დამშვიდობებას სულ სხვა ელფერი ჰქონდა — ასე ალბათ უნგრელები სახელმწიფოს მეთაურსაც არ დაკრძალავდნენ. ჩვენ, მადრიდელები, ამანსიო, სანტამარია, ზოკო, ველასკესი, ლოპეს სერანო და მე, ტაძარში თვალზე სიამაყის ცრემლმომდგარი ვიდექით, რადგან მიხვდით, რომ თანამემამულეთათვის პანჩო ფეხბურთელზე გაცილებით მეტს ნიშნავდა. მადრიდში ემოციებით აღსავსენი დავბრუნდით.

— უნგრეთში თქვენი ყურადღება ყველაზე მეტად რამ მიიპყრო?

— ხალხის ერთიანობამ. უკვე ბუდაპეშტის აეროპორტშივე შევნიშნეთ ადამიანები, რომელთაც შავი, სამგლოვიარო სამკლავურები ეკეთათ. ქუჩებში პუშკაშის კუბოს ათიათასობით ადამიანი მიაცილებდა. მღელვარებისგან სუნთქვა შემეკრა, როცა ეს სანახაობა ვიხილე. როცა პროცესია გმირთა მოედანზე გაჩერდა, იქ თავი სხვა ეპოქაში მეგონა, ფერენც პუშკაშს პატივი სამხედრო წესით მიაგეს... ივი ამას ნამდვილად იმსახურებდა. თუმცა სტადიონზე ნანახმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა.

— მოგვიყევით ამის შესახებ...

— კუბო მოედნის ცენტრში დაასვენეს და გარშემო ასობით სანთელი აანთეს... საოცარი სანახაობა იყო. შემდეგ ოთხასი წევრისგან შემდგარმა ქორომ ხოაკინ როდრიგოს „არანხუესის კონცერტი“ შეასრულა, საქმე ის გახლავთ, რომ პუშკაში თავს თითქმის ესპანელად თვლიდა.

— დ` ეს მიუხედავად იმისა, რომ მადრიდში 31 წლის ასაკში ჩამოვიდა?

— რა თქმა უნდა. ეს დაკრძალვამდე რამდენიმე საათით ადრე მისმა მეუღლემაც დაგვიდასტურა, როცა ხუან ანტონიო სამარანჩთან, იოზეფ ბლატერთან, ფრანც ბეკენბაუერთან, მიშელ პლატინისთან, ანხელ მარია ვილართან და 1950-იანი წლების უნგრეთის ლეგენდარული ნაკრების წევრ ბურანსკისთან ერთად წმინდა სტეფანის ტაძარში მესას ვესწრებოდით. პუშკაშის ცოლმა მითხრა, რომ პანჩო თავს მადრიდელად თვლიდა — მას ხომ მთელი 25 წლის განმავლობაში პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მშობლიურ უნგრეთში დაბრუნება არ შეეძლო. ფერენცი და მისი მეუღლე მადრიდში, ბარიო დელ ნინიო ხესუსში (უბანი, სახელად ყრმა იესო) ცხოვრობდნენ და მათი სახლი უნგრეთის არაოფიციალური საელჩო გახლდათ. პანჩო საოცრად გულუხვი და გულისხმიერი ადამიანი იყო და ესპანეთში მცხოვრები უნგრელები პრობლემების მოსაგვარებლად მასთან მიდიოდნენ... ისიც თანამემამულეებს ყველაფრით ეხმარებოდა, რაც შეეძლო. გარდა ამისა, პუშკაშის ერთადერთ ქალიშვილს ბენიდორმში სახლი დღესაც აქვს. ეს ადგილი ლეგენდარულ ფეხბურთელს ძალიან უყვარდა და სამოციანი წლების დასაწყისში იქ ოჯახთან ერთად დასასვენებლად დადიოდა. ბენიდორმი მაშინ მეთევზეთა პაწაწინა დასახლება იყო.

— „რეალი“ რას გააკეთებს პუშკაშის ხსოვნის უკვდავსაყოფად?

— რამდენიმე პროექტი გვაქვს ჩაფიქრებული. პირველად ვალდებებას სპორტულ კომპლექსში პანჩოს ბიუსტს დავდგამთ. მოქანდაკეს სპეციალურ შეკვეთას მივცემთ, რათა ბიუსტი გარდაცვლილის სახეს და პიროვნებას, რაც შეიძლება, მაქსიმალური სიზუსტით წარმოაჩენდეს. ქანდაკების საზეიმო გახსნის ცერემონიალი ალბათ რამდენიმე თვეში ჩატარდება და მას ალფრედო დი სტეფანო და ფრანსისკო ექტორ ხენტო დაესწრებიან. გარდა ამისა, ბუდაპეშტიდან მადრიდში ფერენც პუშკაშის ბიოგრაფიაც ჩამოვიტანეთ. წიგნი უნგრულადაა დაწერილი და პანჩოს სამშობლოში ახლახან გამოიცა.

— ბიოგრაფია უკვე წაიკითხეთ? მასში პუშკაშის ცხოვრება დეტალურადაა აღწერილი?

— პანჩოს ახლო მეგობარმა ლოპეს სერანომ წაიკითხა და მითხრა, რომ წიგნში ყველაფერი რიგზეა. ახლა სერანო დანართზე მუშაობს, რათა პუშკაშის ცხოვრების მადრიდულ პერიოდზე ხალხმა უფრო მეტი შეიტყოს. მცირე ხანში ბიოგრაფიას ესპანურად გადავთარგმნით. ფეხბურთელის ქვრივმა გვითხრა, რომ პუშკაშის პირად ნივთებს და ჯილდოებს მალე მადრიდის „რეალის“ მუზეუმს გადასცემს. სამწუხაროა, პანჩოს ოჯახი ბოლო წლებში ფინანსური პრობლემების გამო იძულებული იყო, რამდენიმე ჯილდო ლონდონში, სოთბის აუქციონზე გაეყიდა. დანარჩენებს კი აუცილებლად მადრიდის მუზეუმში შევინახავთ.

— „ფერენც პუშკაშის“ სტადიონზე თქვენმა სიტყვით გამოსვლამ იქაურთა ოვაციები გამოიწვია...

— საორგანიზაციო კომისიის დამსახურებაა, რომ ხალხმა ჩემი ნათქვამი გაიგო. მე ესპანურად ვლაპარკობდი, სტადიონზე დამონტაჟებულ უზარმაზარ ეკრანზე კი ჩემი ნათქვამი უნგრულად იწერებოდა. ხალხს მხოლოდ სიმართლე ვუთხარი. აღვნიშნე, რომ პუშკაში ესპანეთში დიდისთვის და პატარასთვის ნამდვილი გმირია და უნგრეთთანაც ვალში ვართ, ასეთ ფეხბურთელთან და ბრწყინვალე პიროვნებასთან ერთად ცხოვრების შანსი რომ მოგვცა. სანამ ვლაპარაკობდი პუშკაშის კუბოსთან ამანსიო, ზოკო, ველასკესი, სანტამარია და სერანო იდგნენ. ყველაზე მეტად კი კატაფალკასთან „რეალის“ დროშის გამოტანამ ამაღელვა. და ამ დროს მოხდა რაღაც, რამაც სულით ხორცამდე შეგვძრა.

— რას გულისხმობთ?

— ქორომ საოცარ მუსიკასთან უნისონში, რისი დავიწყებაც არ შეიძლება, თავისი მარში დაადგუგუნა. რამდენიმე წამის შემდეგ ერთ-ერთ ტრიბუნაზე ჩირაღდნები აანთეს და მადრიდის „რეალის“ დროშები გადმოკიდეს... სწორედ ამ დროს ბუდაპეშტის ცაში უთვალავი მტრედი აიჭრა. უნგრელებმა ამით დაამტკიცეს, რომ პანჩოს საქვეყნო სახელ-დიდება „რეალის“ მაისურით მის მიერ ჩადენილი საოცრებების შემდეგ მოვიდა. არადა, ესპანეთში ჩამოსვლისას ივი, როგორც თქვენ აღნიშნეთ, უკვე 31 წლის იყო.

— ასეთი დიდებული დაკრძალვა ალბათ დიდ ხარჯებსაც უკავშირდებოდა...

— უნგრეთის მთავრობამ დაკრძალვის ცერემონიალისთვის 900 ათასზე მეტი ევრო გამოყო. ალბათ ამგვარი რამ უნგრეთში ადრე არ მომხდარა და ამით უნდა აიხსნას, პანჩოს აღელვებულმა მეუღლემ სტადიონზე წამოსვლა რომ ვერ შეძლო — იქ მარტო პუშკაშის ქალიშვილი გახლდათ. „რეალი“ კი ფეხბურთელს ავადმყოფობის პერიოდში ყველანაირად ეხმარებოდა — პუშკაში ლეგენდა იყო და ასეთად დარჩება.

— იცოდით, რომ პუშკაშს მადრიდში სოსისების ბიზნესი ჰქონდა?

— დიახ. მისმა მეუღლემ მითხრა, რომ, როცა პანჩომ ესპანეთის დედაქალაქში ეს საქმე წამოიწყო, შემოსავალზე ნაკლებად ფიქრობდა. პუშკაშს უნდოდა, სოსისი, სახელად „ფერენც პუშკაში“, ისეთი გემრიელი ყოფილიყო, რომ რესტორანში შესულ კლიენტებს მისი ხმაურიანი სახელწოდება დაევიწყებინათ. დიდი ადამიანი და ფეხბურთელი იყო და ყოველთვის ვნანობ, მისი დიდების წლებში მოედანზე რომ არ მინახავს. სამწუხაროდ, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. მხოლოდ პუშკაშის ფეხბურთიდან გაცილება მახსოვს კარგად. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ „რეალში“ ჩემი პრეზიდენტობის ჟამს ასეთი ფეხბურთელი ყოფილიყო...

ფეხბურთის რუკასთან

გერმანული „ვოლფსბურგი“ მიუნხენის „ბაიერნის“ პარაგვაელი გამთამაშებლით ხულიო დოს სანტოსითაა დაინტერესებული. „მგლები“ მის სეზონის ბოლომდე თხოვებას აპირებენ და ფაქტობრივად მიაღწიეს კიდეც შეთანხმებას „ბაიერნთან“. დანარჩენი თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული.

ნორვეგიის ნაკრებისა და ფრანგული „ლიონის“ ფორვარდი იონ კარეუ გასულ უქმეებზე პსჟ-სთან მატჩში დაშავდა და ახალ წლამდე ვეღარ ითამაშებს. შესაბამისად, „ლომებს“ წლის ჩამთავრება სამი წამყვანი თავდამსხმელის გარეშე მოუწევთ. კარეუს გარდა გუნდის ლაზარეთში ფრედი და კარიმ ბენზემა არიან. ზამთრის შესვენებამდე ჟერარ ულიეს გუნდს „ლანსთან“ და „მონაკოსთან“ მატჩები ელის.

უკრაინელმა ჟურნალისტებმა და ფეხბურთის სპეციალისტებმა ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დონეცკის „შახტარის“ კაპიტანი ანატოლი ტიმოშჩუკი აღიარეს. 27 წლის ნახევარ მცველმა 140 ქულით გაასწრო ანდრეი შევჩენკოს, მესამე ადგილზე კი კიევის „დინამოს“ ლიდერი სერგეი რებროვი გავიდა.

ფრანგული „მარსელის“ ნახევარმცველი ფრანკ რიბერი სრული დატვირთვით ვარჯიშს თვის ბოლოს განაახლებს. მან ტრავმა ნოემბერში „ლილთან“ მატჩში მიიღო. „ველოდრომის“ ბინადართა ექიმის ალბერ ემონის თქმით, რობერის სარეაბილიტაციო პერიოდი კარგად მიმდინარეობს.

იტალიური „იუვენტუსი“ ისევ ხავიერ მასკერანოს უტრიალებს. 22 წლის არგენტინელი-სადმი „ბებერი ქალბატონის“ ახლანდელ მწვრთნელს დიდიე დეშანსაც დიდი სიმპათიები აქვს. „იუვე“ ტრანსფერის გაჩარხვას მომავალ ზაფხულს ეცდება. შეგახსენებთ იმასაც, რომ მასკერანოს იტალიური პასპორტიც აქვს, მას აპენინელი წინაპრები ჰყავდა.

ფრანგულ პსჟ-ს არგენტინელი გაბრიელ ჰაინცეს დაბრუნება სურს. 28 წლის მცველი 2004 წელს სწორედ პარიზელთა რიგებიდან გადავიდა „მანჩესტერ იუნაიტედში“. „ჰაინცე ნამდვილი მებრძოლი და ჩინებული ფეხბურთელია. მას დიდი სიამოვნებით დავიბრუნებდით, მაგრამ ახლა ეს ნაკლებ სავარაუდოა“ — აღნიშნა პსჟ-ს პრეზიდენტმა ალან კაიზაკმა.

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

წარმოგიდგენთ

ინგლისი. პრემიერლიგა

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	2	ჩელსი-ნიუკასლი	1.25	5.30	12.00	1.01	1.13	3.67
23:45	4	უიგანი-არსენალი	4.30	3.30	1.85	1.86	1.29	1.18

16 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:45	6	ჩარლტონი-ლივერპული	5.50	3.50	1.60	2.13	1.23	1.09
19:00	7	ნიუკასლი-უოტფორდი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
19:00	8	არსენალი-პორტსმუთი	1.45	4.00	6.50	1.06	1.18	2.47
19:00	9	რედინგი-ბლექბერნი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
21:15	11	ასტონ ვილა-ბოლტონი	2.15	3.20	3.30	1.28	1.30	1.62

შოტლანდია. III დივიზიონი

12 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	414	ისტ სტირლინგი-ბერიკი	5.00	3.80	1.50	2.15	1.15	1.07

გერმანია. I ბუნდესლიგა

15 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	62	ბოხუმი-მიონხენგლადბახი	2.20	3.20	3.20	1.30	1.30	1.60

16 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:30	63	ალემანია-ჰამბურგი	2.70	3.10	2.50	1.44	1.29	1.38
18:30	64	არმინია-შალკე	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28
18:30	66	კოტბუსი -შტუტგარტი	3.35	3.10	2.05	1.61	1.27	1.23
18:30	68	ჰერტა-აინტრახტი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
18:30	69	მაინცი-ბაიერნი	6.00	3.40	1.57	2.17	1.24	1.07
18:30	71	ნიურნბერგი-ჰანოვერი	1.95	3.10	3.80	1.19	1.28	1.70

17 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	72	დორტმუნდი-ლევერკუზენი	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
20:00	73	ვერდერი-ვოლფსბურგი	1.40	4.10	7.00	1.04	1.16	2.58

იტალია. სერია A

16 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	85	უდინეზე-კალიარი	1.95	3.00	4.00	1.18	1.31	1.71
23:30	86	ფიორენტინა-მილანი	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44

17 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	87	ასკოლი-ტორინო	2.65	3.00	2.70	1.40	1.33	1.42
18:00	89	კატანია-ემპოლი	2.05	3.00	3.65	1.21	1.31	1.64
18:00	90	ინტერი-მესინა	1.18	5.50	15.00	1.00	1.09	4.02
18:00	92	ლივორნო-ლაციო	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44
18:00	93	პარმა-კიევო	2.15	3.00	3.40	1.25	1.31	1.59
18:00	94	რეჯინა-სამპდორია	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
18:00	95	სიენა-ატალანტა	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52
23:30	96	რომა-პალერმო	1.85	3.10	4.20	1.15	1.28	1.78

ესპანეთი. I დივიზიონი

17 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	140	ატლეტიკო-ხეტაფე	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
21:00	143	ესპანიოლი-რეალი	4.20	3.20	1.85	1.81	1.28	1.17
21:00	145	დეპორტივო-ბილბაო	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
21:00	146	ლევანტე-სელტა	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44
21:00	147	მალიორკა-რასინგი	2.05	3.00	3.60	1.21	1.30	1.63
21:00	148	უელვა-სევილია	3.20	3.10	2.15	1.57	1.28	1.26
21:00	149	სოსიედადი-ტარაგონა	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
21:00	151	ვილიარეალი-ოსასუნა	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
21:00	152	სარაგოსა-ვალენსია	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52

საფრანგეთი. I დივიზიონი

16 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	164	ლე მანი-ტულუზი	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
23:00	165	მონაკო-სოშო	2.25	3.00	3.20	1.28	1.32	1.54
23:00	167	ნანსი-მარსელი	2.25	2.90	3.30	1.26	1.33	1.54
23:00	168	ნანტი-ბორდო	2.75	2.90	2.60	1.41	1.33	1.37
23:00	169	პსჟ-ნიცა	1.80	3.10	4.70	1.13	1.30	1.86
23:00	170	რენი-ტრუა	1.65	3.20	5.90	1.08	1.28	2.07
23:00	172	სედანი-ლილი	3.30	3.10	2.10	1.59	1.28	1.25
23:00	174	სტ.ეტიენი-ვალენსიენი	1.55	3.30	7.20	1.05	1.27	2.26

17 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	177	ლანსი-ლიონი	3.40	3.00	2.15	1.59	1.31	1.25

უეფას თასი

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	243	ბლექბერნი-ნანსი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
23:45	244	ესპანიოლი-აუსტრია	1.30	4.30	9.50	1.00	1.14	2.96
23:45	245	ფენერბაჰჩე-აინტრახტი	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
23:45	246	ფეიენოორდი-ვისლა	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
23:45	247	აპოელი თა-ბოლესლავი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
23:45	248	პალერმო-სელტა	1.70	3.20	4.70	1.11	1.24	1.90
23:45	249	პსჟ-პანათინაიკოსი	1.40	3.70	7.00	1.01	1.16	2.42
23:45	250	ვარეგემი-აიაქსი	4.00	3.30	1.80	1.80	1.24	1.16

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	251	ოსერი-ლივორნო	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83
23:45	252	ბრაგა-გრასჰოპერი	1.25	4.70	11.00	1.00	1.12	3.29
23:45	253	ჰერენვენი-ლანსი	2.60	3.00	2.55	1.39	1.28	1.37
23:45	254	ლევერკუზენი-ბეშიქთაში	1.70	3.40	4.80	1.13	1.25	1.99
23:45	255	პარმა-ოსასუნა	2.75	2.80	2.60	1.38	1.33	1.34
23:45	256	რეინჯერსი-პარტიზანი	1.53	3.50	6.00	1.06	1.21	2.21
23:45	257	სევილია-ალკმაარი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
23:45	258	ტოტენჰემი-დინამო(ბქ)	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05

ინგლისი. თასი

12 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	259	ბასინგსტოუკი-ალდერშოტი	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23
23:45	260	ბორნმუთი-როვერსი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
23:45	261	ჩესტერი-ბერი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
23:45	262	დონკასტერი-მენსფილდი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
23:45	263	ლეიტონი-ტორკი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
23:45	264	მილუოლი-ბრედფორდი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
23:45	265	ნოტინგემი-სალისბერი	1.15	6.00	15.00	1.00	1.06	4.28

ესპანეთი. თასი

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	266	ლევანტე-ატლეტიკო	2.85	3.10	2.30	1.48	1.27	1.32

სამხრეთ ამერიკის თასი

13 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	270	კოლო კოლო-პაჩუკა	1.60	3.40	4.80	1.08	1.20	1.99

ჰოკეი. გერმანია

12 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	400	კიოლნი-მანჰაიმი	2.05	4.20	2.30	1.37	1.08	1.48

14 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	401	იზერლონი-კიოლნი	2.20	4.20	2.15	1.44	1.08	1.42

15 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	402	კრეფელდი-ფრანკფურტი	2.15	4.20	2.20	1.42	1.08	1.44
22:30	403	დუისბურგი-აუსბურგი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
22:30	404	აისბარენი-სტრაუბინგი	1.35	4.60	5.00	1.04	1.06	2.39
22:30	405	ნიურნბერგი-ინგოლშტადი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
22:30	406	ჰანოვერი-მანჰაიმი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
22:30	407	ჰამბურგი-დიუსელდორფი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲐᲖᲣᲡᲢᲔᲗ

ქართული ლეგიონი

დუბლი პირველი: ნაცვლიშვილმა ძველი დრო გაიხსენა

გიორგი ცინცაძე „სამარსის“ კალათს უტევს

საკმაოდ ბარაქიანი კვირეული ჩაითამაშა ქართულმა ლეგიონმა და განსაკუთრებულად თვალში საცემი საქართველოს ნაკრების კაპიტნის, ვახტანგ ნაცვლიშვილის წინსვლაა. ვატო ბოლო დროს ჩვეულად ვეღარ ლიდერობდა „დიჟონში“. მძიმე ტრავმამ მის თამაშს დაღი დაასვა, თუმც გასულ კვირაში მან ძველი დრო და ორმაგი დუბლის გემო გაიხსენა.

ამ სეზონში ნაცვლიშვილი საფრანგეთის ჩემპიონატში 10-15 წუთს თამაშობდა, ფრანგული ლიგის მატჩში ერთბაშად 4 ამერიკელის მოედანზე ყოფნაა ნებადართული და ქართველი ფორვარდი კონკურენციას ვერ ძლევდა. გასულ ტურში კი ვატომ მოედანზე 25 წუთი გაატარა და ორმაგი დუბლიც შეასრულა — 11 ქულა და 10 მოხსნა.

„დიჟონი“ ცხრილში მასზე წინ მყოფ პარიზის „რასინგს“ მასპინძლობდა და დამაჯერებლად იმარჯვა. სეზონის რიხით დაწყების შემდეგ დიჟონელები ცოტა მოეშვნენ, თუმც ახლა ისევ მიუმატეს და ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ მე-6 საფეხურზე გამაგრდნენ.

შუა კვირაში „დიჟონმა“ კიდევ უფრო პრინციპული მატჩი გამართა ევროთასზე და აქაც იმარჯვა. ნაცვლიშილის გუნდი მანამდე წაუგებელ „ესტუდიანტესს“ ხვდებოდა და მისი ძლევით ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა. ბოლო ტურში „დიჟონმა“ შინ ებრაული „ნაჰარია“ უნდა დაამარცხოს და პლეი ოფში გავა.

„ესტუდიანტესიც“ ალბათ გავა ჯგუფიდან, რადგან ვიქტორ სანიკიძის გუნდი უიმედო აუტსაიდერ „პლოეშტს“ ხვდება და სასწაული იქნება, რომ ვერ იმარჯვოს. სანიკიძემ „დიჟონთან“ 7 წუთი ითამაშა და მოედანი 2 ქულით დატოვა. ესპანეთის ჩემპიონატის ტურში კი „ვიკას“ არ უთამაშია, მისი გუნდი შინ „პამესასთან“ დამარცხდა.

მცირე ჩავარდნის შემდეგ კვლავ ათამაშდა გიორგი ცინცაძე, მაგრამ გასულ კვირაში მისმა მონდომებამ „როკს“ გამარჯვება ვერ მოუტანა. ტარტუელები „ჩელენჯ კაპზეც“ დამარცხდნენ და ბალტიის ლიგაშიც, რითაც ორივე ამ ტურნირის ჯგუფში ჩასარჩენად გაიწირნენ.

მიუხედავად წაგებისა, ცინცაძე უკმაყოფილო არ იქნებოდა „სამარსთან“ მატჩის შემდეგ. სამივე მთავარ სტატისტიკურ მაჩვენებელში — ქულა, მოხსნა, პასი — ის საუკეთესო იყო თავისიანთაგან. ლიტვურ გრანდ „რიტასთან“ კი ცინცაძემ 10 ქულა და 2 პასი მოაგროვა, თუმც მისი „როკი“ ვილნიუსში უიმედოდ დამარცხდა.

სერია A-ში საუკეთესო საამსეზონო მატჩი ჩაატარა ვლადიმერ ბოისამ, რომელმაც ულებ-ის თასზე ყოჩაღი თამაში იტალიურ ჩემპიონატშიც გაიყოლა. „სიენამ“ „დორლანდოს“ რომ მოუგო, ბოისა 19 წუთში 15 ქულით შეეწია თავისიანებს. ამ გამარჯვებით სიენელები სერია A-ს ლიდერობას ინარჩუნებენ.

ულებ-ის თასზეც იმარჯვა „სიენამ“ — გერმანიაში „ალბა“ წამოაქცია და ჯგუფიდან გასვლა თითქმის გაინაღდა. ბოისმ 22 წუთი დაყო მოედანზე და 11 ქულა მიითვალა, რომელთაგან თითქმის ყველა კრიტიკულ ეპიზოდებში შესძინა თავის გუნდს.

თამაშის ეშხში შედის ნატურალიზებული ქართველი ტაირონ ელისი, რომელმაც „ნაპოლში“ პირადსარეკორდო 9 ქულა მოაგროვა სერია A-ს ტურში „სკაფატის“ წინააღმდეგ. ნეაპოლელებმა შიდაჩემპიონატის დარად ევროლიგაშიც იმარჯვეს, სადაც თანამემამულესა და თავისზე გაცილებით ძლიერ „ბენეტონს“ შანსი არ დაუტოვეს. თუმც რად გინდა, „ნაპოლი“ ევროლიგის C ჯგუფის აუტსაიდერია და მომდევნო ეტაპზე გასვლის მიზერული შანსიღა აქვს.

ევროლიგის ჯგუფში ჩარჩენას ვერ ასცდება ლიუბლიანის „ოლიმპიაც“, რომელსაც ბედი არ სწყალობს — უკვე მერამდენედ აგებს 1-2 ქულით. მანუჩარ მარკოშვილის გუნდმა ამჯერად შინ ესპანურ „ხუვენტუდთან“ წააგო 67:69 და ერთადერთი გამარჯვებით B ჯგუფის ბოლო ადგილზეა. მანუმ 35 წუთი ითამაშა ესპანელების წინააღმდეგ და 12 ქულას მოუყარა თავი.

ევროლიგაში დაღვრემილმა ლიუბლიანელებმა ხასიათი ადრიატიკის ლიგაზე გამოიკეთეს — ხორვატიული „ზაგრები“ დაამარცხეს. ამ მატჩში მარკოშვილმა თავი ვერაფრით დაამახსოვრა მაყურებელს — 22 წუთში 2 ქულა მოაგროვა.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
გიორგი ცინცაძე	როკი	ჩელენჯ კაპი	სამარა	ს	74:81	29	17	7	4
		ბალტიის თასი	ლიტუფოს რიტასი	ს	62:91	23	10	0	2
მანუჩარ მარკოშვილი	ოლიმპია	ევროლიგა	ხუვენტუდი	შ	67:69	35	12	1	2
		ადრიატიკის ლიგა	ზაგრები	შ	87:76	22	2	1	0
ვლადიმერ ბოისა	სიენა	სერია A	დორლანდო	შ	98:66	19	15	2	1
		ულების თასი	ალბა	ს	73:71	22	11	1	0
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	ევროთასი	ესტუდიანტესი	შ	81:75	29	10	5	0
		საფრანგეთის ჩემპიონატი	რასინგი	შ	90:72	25	11	10	2
ვიქტორ სანიკიძე	ესტუდიანტესი	ევროთასი	დიჟონი	ს	75:81	7	2	1	0
		ესპანეთის ჩემპიონატი	პამესა	შ	69:75	არ უთამაშია			
ლევან შენგელია	აკადემია	ლიტვის I ლიგა	კლაიპედა	შ	85:74	15	11	5	0
ტაირონ ელისი	ნაპოლი	ევროლიგა	ბენეტონი	ს	70:64	27	5	1	3
		სერია A	სკაფატი	შ	90:68	22	9	0	1
ზაზა ფაჩულია	ატლანტა	NBA რეგ. ჩემპ.	პორტლენდი	ს	107:96	31	12	3	3
			სიეტლი	ს	87:102	30	10	5	1
			დენვერი	ს	98:96	არ უთამაშია			

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონ არტესტმა (მარცხნივ) და შარიფ აბდურ-რაჰიმმა ზაზა ფაჩულიას ბურთი არ დაანებეს

უჯონსონო ქორები ბარტყებივით აჭყივლდნენ

10 დეკემბერი

საკრამენტო 117:92 ატლანტა

საკრამენტო: ბიბი (16), მარტინი (14), არტესტი (8), აბდურ-რაჰიმი (11), მილერი (19); უილიამსონი (18), სალმონსი (14), გარსია (6), ჰარტი (7), პრაისი (4), პოტაპენკო

ატლანტა: კლაქსტონი (2), მ. უილიამსი (3), სმიტი (8), შ. უილიამსი (4), ფაჩულია (24 წუთი, 9 ქულა, 9 მოხსნა); სტუდმაიერი (26), ჯონსი (14), ლუ (10), ფრეი (8), აივი (4), რაიტი (2), ბოზმანი (2)

ლეიკერსი 106:99 სან ანტონიო

ლეიკერსი: ბრაიანტი (34), ოდომი (18 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), უოლტონი (17)

სან ანტონიო: ჯინობილი (23), პარკერი (21), დანკანი (16 ქულა, 13 მოხსნა), ბოუენი (16)

შარლოტი 84:114 ფინიქსი

შარლოტი: მეი (26 ქულა, 10 მოხსნა), ფელტონი (14)

ფინიქსი: სტუდმაიერი (22 ქულა, 12 მოხსნა), დიაუ (17), ბარბოსა (15), მერიონი (14), ბელი (14), ნეში (11 ქულა, 10 პასი)

სიეტლი 117:115 გოლდენ სტეიტი

სიეტლი: რიდნორი (26), ლუისი (25), უილკინსი (22), უოტსონი (20)

გოლდენ სტეიტი: დევისი (28 ქულა, 13 პასი, 9 მოხსნა), ბარნსი (20)

ტორონტო 83:93 პორტლენდი

ტორონტო: პიტერსონი (23), ფორდი (19), ჯონსი (14)

პორტლენდი: ჯეკი (22 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ვებსტერი (22), დიქსონი (16)

10 დღის წინ „ატლანტამ“ ყოჩაღად დაიწყო 5-მატჩიანი დასავლური ტურნე, „პორტლენდიც“ დამარცხა, მაგრამ მას შემდეგ 4 შეხვედრიდან 3 დათმო და მარცხითვე დაასრულა სტუმრობათა სერია.

„საკრამენტოსთან“ „ქორებს“ შანსიც არ ჰქონიათ თუნდაც იმიტომ, რომ ლიდერი ჯო ჯონსონი აკლდათ. მართალია, მის ნაცვლად დამწყებ ხუთეულში აღზევებული მარვინ უილიამსი ამბობდა — ჯონსონი ზეადამიანი არაა და მისი არყოფნა არაფერს ნიშნავსო, მაგრამ მას ეს სიტყვები ყმაწვილკაცურ ყოყლოჩინობაში და უფროსის უპატივცემულობაში ჩამოართვეს. „ატლანტასთვის“ ჯონსონი დიახაც სუპერკაცია. მან „ჰოქსის“ ყველა საამსეზონო თამაშში უფრო მეტი ქულა ჩააგდო, ვიდრე სხვა ატლანტელმა, სულ 18 მატჩში საშუალოდ 28,8 ქულა მოაგროვა, 18-ვე შემთხვევაში შესწვდა 20-ქულიან თამასას და საზოგადოდ, ნბა-ში ერთ ყველაზე ჯანმაგარ კაცად ითვლებოდა, ოთხნახევარი სეზონი, კონკრეტულად 376 შეხვედრა ისე გამართა, ერთი არ გამოუტოვებია. ჰოდა, ბუნებრივია, მის გარეშე დარჩენილი „ქორები“ ბარტყებივით უსუსურად რომ გამოიყურებოდნენ. თუნდაც მარვინ უილიამსი, რომელმაც 20 წუთში სამად სამი ქულა „მოაგროვა“ და მერე არც დაფიქრებულა, ისე თქვა, ჯო ჯონსონის არყოფნა ჩვენთვის არაფერს ნიშნავსო.

უჯონსონო „ატლანტამ“ „საკრამენტოს“ მოძალებას მხოლოდ პირველი მეოთხედი გაუძლო — ეს პერიოდი 20:22 დათმო, შემდეგი 12-წუთეული კი 11-ქულიანი სხვაობით წააგო, რასაც 22:39 წაგებული მესამე მეოთხედი მოაყოლა.

„ატლანტას“ სასტარტო ხუთეულის არც ერთ წევრს არ გაუკეთებია თუნდაც 10 ქულა. ზაზა ფაჩულიამ 9 ქულა და 9 მოხსნა გააკეთა, ეგაა, თამაშიდან 4 ესროლა და 4-ვე აცილა, 12 საჯარიმოდან კი 9 ჩააგდო.

საინტერესო მატჩი გაიმართა ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერში“, სადაც „ლეიკერსი“ „სან ანტონიოს“ მასპინძლობდა. ეს ორივე გუნდი ბოლო ხანებში ნბა-ს აზანზარებს — „ლეიკერსი“ 2000-02 წლებში ზედიზედ 3-ჯერ გახდა ჩემპიონი, ხოლო „სან ანტონიომ“ 1999, 2003 და 2005 წლებში ასევე 3-ჯერ იჩემპიონა. მიუხედავად იმისა, რომ „ლეიკერსს“ იმ შემადგენლობიდან სადღეისოდ მხოლოდ კობი ბრაიანტი შემორჩა, ეს გუნდი ფილ ჯეკსონის მეცადინეობით კვლავ მოყოჩაღდა და იოლად არავის მოუხრის ქედს.

„სან ანტონიოსთანაც“ ბრაიანტმა და მის გარშემო მოფუსფუსე ახალგაზრდებმა გადასარევი მატჩი ჩაატარეს, განსაკუთრებით მესამე მეოთხედი, რომელიც 37:22 მოიგეს და შეხვედრის ბედიც აქ გადაწყდა.

მესამე მეოთხედამდე მიიყვანა საქმე „ფინიქს სანზმაც“, რომელიც გაცილებით სუსტ მეტოქეს, „შარლოტს“ სტუმრობდა და პირველი ნახევრის შემდეგ მხოლოდ 3 ქულას უგებდა. მესამეში კი ფინიქსელებმა 33:17 იძალეს და მასპინძლებს ფარ-ხმალი დაყრევინეს, თავად კი ზედიზედ მე-10 გამარჯვება ჩაიწერეს.

კოტე ყორშია

ვერა ზვონარევა ჩოგბურთის ფიფა

მაკა ჩახნაშვილის სულ ზევით, ზევით

ავსტრალიური ჯვალიფიკაცია და უჯვალიფიკაციო საფრანგეთი

მაკა ჩახნაშვილისთვის რომ წლევანდელი სეზონი წარმატებულია, არაერთხელ დაგვიწერია. საქართველოს საუკეთესო ქალმა ჩოგბურთელმა 2006 წელი მსოფლიოს რეიტინგის სამასეულის შუა ნაწილიდან დაიწყო, მალე სავარჯიშოდ იტალიაში გაემგზავრა და პროგრესი აშკარა გახდა. მაკა თვიდან თვემდე უმატებს და პირად სარეიტინგო რეკორდსაც აუმჯობესებს. ამჟამად რეიტინგში 138-ე საფეხურზეა, სამომავალწლოდ კი ორმოცდაათეულამდე ასვლასაც ფიქრობს. მომქანცველი სეზონის ბოლოს ჩახნაშვილი ორიოდ დღით თბილისში დაბრუნდა. წუხელ ისევ იტალიაში გაეშურა და დღე-დღეზე ავსტრალიის ღია პირველობისთვის სამზადისს შეუდგება

— წლეულს თამაშს ისე საგრძნობლად მოვუმატე, სარეიტინგო წინსვლა ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნია. 250-ეულში წლების წინაც ვყოფილვარ, მაგრამ ბოლო ორი წელი ტრავმიანობის გამო აშკარად ჩამივარდა და რეიტინგში ლამის 600-მდე დავეშვი. მგონი, იმ დროს ჩემს მეტი არავის სჯეროდა, რომ დაკარგულის აღდგენას შევძლებდი. ნაწილობრივ ეს თბილისური ვარჯიშებით მოვახერხე. მთავარი აღმასვლა კი იტალიაში გადაბარგების შემდეგ დაიწყო.

...საჩოგბურთო წრეებში კარგად ცნობილი სპეციალისტი რაულ რანცინგერი მავარჯიშებს. გარდა იმისა, რომ ძლიერი მწვრთნელია, საუკეთესო ფსიქოლოგიცაა. სწორედ ესაა ჩემი წარმატების უმთავრესი გასაღები. ცხადია, რანცინგერთან მზადების პერიოდში ტექნიკურ-ტაქტიკურადაც მოვუმატე, მაგრამ ყველაზე მეტად ფსიქოლოგიურმა გაკეთილებმა მარგო. თვითრწმენა შემემატა და ამან იმდენად იმოქმედა, სულ სხვა ადამიანად გარდავიქმენი. გაცილებით მიზანმიმართული გავხდი და ეს ჩემს თითოეულ ვარჯიშსაც ეტყობა.

...რაულ რანცინგერთან ერთად უკვე გასული სეზონიც შევაფასე. მწვრთნელმა პირდაპირ მითხრა, რომ ასე სწრაფ პროგრესს არ ელოდა. ერთობლივი მუშაობის პირველ პერიოდში მიზნად დიდი სლემის ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში დამისახა და ეს სწრაფადვე მოვახერხე — ამერიკის ღია პირველობაზე. მეორე დიდი საკვალიფიკაციო ეტაპი იანვარში ავსტრალიაში მელის. ახალი სამიზნე კი 2007 წლის მაისში, როლან გაროსზე პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვედრაა. საამისოდ ასეულში დამკვიდრება დამჭირდება. მწვრთნელი აქეთ მარწმუნებს, რომ არათუ ასეულში, ოცდაათეულში შესვლაც შემიძლია.

...ასეულის მოთამაშეებს წლეულს, თუ არ ვცდები, ცხრაჯერ შევხვდი და მხოლოდ ორჯერ წავაგე. ასე რომ, ჩემზე მაღლა მდგომებთან თამაში, შეიძლება ითქვას, ნორმალურად გამომდის და მიხარია კიდეც. საერთოდაც, ასეულის მეორე ნახევრისა და ორასეულის ჩოგბურთელებს შორის კლასში დიდი სხვაობა ნამდვილად არაა. თუმცა წინ წაწევა მაინც ძნელია. ელიტა ერთგვარი ჩაკეტილი სივრცეა, რომელში შესაღწევადაც უდიდესი ძალისხმევაა საჭირო. იმედია, ამ წინაღობასაც ადვილად დავძლევ.

...ავსტრალიის ღია პირველობისთვის იტალიაში სპეციალური სამკვირიანი პროგრამით მოვემზადები. მელბურნში ტურნირი 9 იანვარს დაიწყება, მე კი ალბათ 5-6 დღით ადრე ჩავალ. რა თქმა უნდა, საკვალიფიკაციო ეტაპის გასავლელად ვიბრძოლებ, მაგრამ ამაზე წინასწარ საუბარი არ მსურს. ავსტრალიაში ჰარდზე ვითამაშებ. ეს საფარი ძალიან მიყვარს. ბოლო პერიოდში ისეთ ფორმას მივაღწიე, ჯერ რომ არასოდეს ვყოფილვარ. ამას დაუმატეთ საკუთარი ძალის რწმენა, რომელიც აქამდე მაკლდა და ჩემს შემართებასა და უკეთესი მომავლის იმედსაც ადვილად მიხვდებით.

ოთარ მაღლაკელიძე

მო ფარა

ჰაეროვანი კოცნა სულ ლენანოს

გუშინწინ იტალიურ დაბა სან ჯორჯო სუ ლენანო ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობდა კროსში. სირბილი კაცებსა და ქალებს შორის 3-3 ასაკობრივ ჯგუფებში გაიმართა — უფროსებში, 23-წლამდელებსა და 21-წლამდელებში.

თავისთავად ყველაზე დიდ ინტერესს კაცთა შეჯიბრი იწვევდა, სადაც ერთი გვარიანი მოულოდნელობა მოხდა. კროსში ბოლო ხუთი ევროჩემპიონატის მომგებმა 31 წლის უკრაინელმა სერგეი ლებედმა როგორც არასდროს, ისე ცუდად ირბინა, 30 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს და მხოლოდ მე-12 აღგილი ირგუნა.

გამარჯვება კი სრულიად ახალგაზრდა ბრიტანელს, 23 წელს ოდნავ აცილებულ მო ფარას ერგო, ვინაც თითქმის 10-კილომეტრიანი დისტანცია, დაზუსტებით კი 9950 მეტრი 27 წუთსა და 56 წამში გაირბინა და ფინიშთან მთელი 7 წამით მიასწრო ასევე მოულოდნელად მეორე ადგილის დამკავებელ პორტუგალიელ ფერნანდო სილვას.

ფარა მანამდე არც ისე ცნობილი გახლდათ კროსის ტალახიან გზებზე. ერთხელ, 2001 წელს 21-წლამდელებში ევროპული ვერცხლი მოიგო, ეს იყო და ეს. მას შემდეგ საპრიზო სამეულშიც არასდროს მოხვედრილა, მაგრამ ის მხოლოდ 23 წლისაა და კროსმენებით არცთუ განთქმულ ბრიტანელებს მისი დიდად ეიმედებათ. ისე, ბრიტანელს მის გარდა მხოლოდ ერთხელ თუ მოუგია ევროპირველობა — 1996 წელს ჯონ ბრაუნმა აჯობა ყველა თანაკონტინენტელს და ესაა ამ კუნძულის მთელი მიდწევები კროსში.

23-წლამდელებში შეჯიბრი სიახლეა და წლეულს პირველად გაიმართა. 8030-მეტრიან გზაზე იმარჯვა უნგრელმა ბარნაბა ბენემ.

მასპინძლები დიდად ნაამები დარჩნენ 21-წლამდელთა შეჯიბრის შედეგებით. აქ 5975-მეტრიანი გზა ყველაზე სწრაფად მათმა თანამემამულემ, 19 წლის ფლორენციელმა ანდრეა ლალიმ გაირბინა და სუ ლენანოელ ლამაზმანებს საფინიშო მეტრებზე მრავალგზის უძღვნა ჰაეროვანი კოცნა.

ბებერ კონტინენტს უფროს ქალთა შორისაც მოულოდნელი ჩემპიონი ჰყავს. უკრაინელ ტატიანა ჰოლივჩენკოს აქამდე კროსში დიდი ტიტულები არ მოეგო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის სტადიონებზე, 1500 მეტრ დისტანციაზე დარბოდა და არა გრუნტზე, მაგრამ თავს რომ შეატყო, სარბენ ბილიკზე არაფრის მომგები არ იყო, „სოფელში გადაცხოვრდა“ და მიწაზე სირბილი დაიწყო.

23-წამდელ გოგონებში იპირველა თურქმა ბინაზ ულსუმ, ხოლო 21-წლამდელებში ბრიტმა სტეფანო თუელმა.

კოტე ყორშია

ფედერაციული ჟუსტინ-როჯერიანი

ჩოგბურთის საერთაშორის ფედერაციამ (ITF) წლის საუკეთესო ჩოგბურთელები გამოავლინა. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ ეს ჩოგბურთზე მწერალ ჟურნალისტთა ასოციაციამაც (ITWA) გააკეთა, რომლის რჩეულებიც როჯერ ფედერერი და ამელი მორესმო გახდნენ.

„მხიარული როჯერი“ ჟურნალისტების გარდა საჩოგბურთო მოხელეებმაც საუკეთესოდ ცნეს. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა დაესახელებინათ საუკეთესოდ ვინმე სხვა, როცა გენიალური ალპელი წლის ოთხივე სლემტურნირის ფინალში გავიდა, საიდანაც სამი მოიგო და ამას მასტერსის ოთხი ტურნირი და მასტერსის თასიც მიაყოლა. მოკლედ, ფედერერი რომ უპირველესი ჩოგნის მქნეველია, ამაში ეჭვი არავის ეპარება:

„ITF-ის აღიარება ყოველთვის დიდი პატივია, მით უმეტეს, რომ ზედიზედ მესამედ დამასახელეს საუკეთესოდ. წლეულს დიდებული სეზონი მქონდა და ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ დამაფასეს“ — ჩვეულებრივად ჯენტლმენობდა ფედერერი.

სხვათა შორის, ფედერერი მეოთხეა, ვისაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია ზედიზედ სამი წელი ასახელებს საუკეთესოდ. შვეიცარიელამდე ასეთი პატივი მხოლოდ ბიორნ ბორგს, ივან ლენდლს და პიტ სამპრასს ერგოთ.

აი, ქალებში კი ITF-ის არჩევანი განსხვავებული აღმოჩნდა — მორესმოს მაგივრად საუკეთესოდ ჟუსტინ ენინ-არდენი ცნეს და მთლიანობაში ალბათ დამსახურებულადაც. ჭინკა ბელგიელს ხომ ტრავმების მიუხედავად მართლაც შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა — ფედერერის მსგავსად, ჟუსტინმაც ოთხივე სლემტურნირის ფინალში ითამაშა, თუმც მხოლოდ ერთში იმარჯვა. სამაგიეროდ, ენინმა ყველაზე მეტი, ექვსი შეჯიბრი მოიგო, მათ შორის წლის შემაჯამებელი ტურნირი და წელიწადი რეიტინგის სათავეში დაასრულა.



„ეს მართლაც დიდი აღიარებაა, მაგრამ, მგონი, დავიმსახურე, მე ხომ მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე ვითამაშე“ — ამაყი იყო ჭინკა ბელგიელი.

გარდა ამისა, ITF-მა წლის საუკეთესო წყვილებად კაცებში ამერიკელი ტყუპები, ბობ და მაიკ ბრაინები, ქალებში კი ლიზა რეიმონდისა (აშშ) და სამანტა სტოსურის (ავსტრალია) დუეტი დაასახელა.

კახა ლომაშვილი

ევროპის VII ჩემპიონატი
ქალები. შვედეთი. 7-17 დეკემბერი

ქალებმა ქულები დაითვალეს

AFP კოლდინგიდან

დანიელი ლენე ლუნდ ნილსენი ესპანელმა ბეგონ ფერნანდესმა ვერ შეაჩერა

A ჯგუფი					
ავსტრია 28:25 მაკედონია					
უნგრეთი 35:27 სერბეთი					
საბოლოო ვითარება					
უნგრეთი	3	0	0	107:72	6
ავსტრია	2	0	1	83:94	4
მაკედონია	1	0	2	72:81	2
სერბეთი	0	0	3	77:92	0

B ჯგუფი					
პოლონეთი 34:30 სლოვენია					
ნორვეგია 27:22 გერმანია					
საბოლოო ვითარება					
ნორვეგია	3	0	0	102:63	6
გერმანია	2	0	1	83:77	4
პოლონეთი	1	0	2	75:92	2
სლოვენია	0	0	3	80:108	0

C ჯგუფი					
ხორვატია 21:20 შვედეთი					
რუსეთი 40:32 უკრაინა					
საბოლოო ვითარება					
რუსეთი	3	0	0	97:69	6
ხორვატია	2	0	1	67:70	4
შვედეთი	1	0	2	57:69	2
უკრაინა	0	0	3	73:86	0

D ჯგუფი					
დანია 27:24 ესპანეთი					
საფრანგეთი 28:26 ჰოლანდია					
საბოლოო ვითარება					
ესპანეთი	2	0	1	78:67	4
საფრანგეთი	2	0	1	76:74	4
დანია	2	0	1	77:71	4
ჰოლანდია	0	0	3	65:84	0

პირველი ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტურის რვა მატჩიდან მხოლოდ ერთს, პოლონეთ — სლოვენიის დაპირისპირებას ჰქონდა შერჩენილი სამომავლო ინტრიგა.

სლოვენიელი გოგოები გამარჯვების შემთხვევაში სამედლოდ ბრძოლას გააგრძელებდნენ, მაგრამ დიდი მოწადინების მიუხედავად, პოლონური ბარიერის დაძლევა ვერ მოახერხეს.

ხოლო სხვა ოთხ პრინციპულ თამაშში ის იყო მნიშვნელოვანი, თუ მეორე, ასევე წრიულ ეტაპზე ვინ რა ქულების მარაგით გავიდოდა. ამდენად, ოთხივეში პრაქტიკულად ბოლომდე ცხარე ჭიდილი მიდიოდა. შედეგად, ნორვეგიამ, დანიამ, ავსტრიამ და ხორვატიამ „ოქროს“ მოგებები ჩაიწერეს. ყველაზე მეტად ხორვატებს გაუჭირდათ — მათ მეორედ გაიარეს „დანის პირზე“ და მინიმალურსხვაობიანი უპირატესობით ამჯერად მასპინძლები დააჩოქეს.

ერთი სიტყვით, დღეს მეორე ასევე ჯგუფურ ეტაპზე მაქსიმალური, ოთხ-ოთხი ქულით ჩაერთვებიან უნგრელი, ნორვეგიელი და რუსი ქალები.

სნაიპერთა შორის 26 გოლით გერმანელი ნადინ კრაუზეა წინ. შემდეგ მოდიან მაკედონიელი მარინა ნაუკოვიჩი (25), ავსტრიელი ტანია ლოგვინი (22), სლოვენიელი ტატიანა ოდერი (21)...

AFP მოსკოვიდან

მასკაევის ქამარს თვალი ვლადიმირ კლიჩკომ დაადგა

კლიჩკოს მასკაევი კლიჩკოსთვის უნდა

ოლეგ მასკაევმა WBC-ს საჩემპიონო ქამარი რომ შეინარჩუნა, კარგად მოგეხსნებათ — ამ რუსს თუ ყაზახს საკმაოდ კი გაუჭირდა ყველაინარი გაგებით სუსტი პიტერ ოჰელოს დამარცხება, მაგრამ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. თვითონ მასკაევმა თავისი არც ისე დამაჯერებელი გამოსვლა ბრძოლის შუაწელზე მიღებულ ტრავმას გადააბრალა:

„ერთ-ერთი დარტყმისას ხელი დავიზიანე და ამიტომ ვერ მოვიგე ნოკაუტით. ცოტა თავს ვუფრთხილდებოდი, არ მინდოდა ტრავმის გამიზეზება, მით უმეტეს, რომ ამის საჭიროება სულაც არ იყო. თუმც მეტოქის გამძლეობაც უნდა აღვნიშნო — მან მართლაც ბევრს გაუძლო “ — ასეთი კომენტარი გააკეთა ნამატჩევს ჩემპიონმა.

გუშინ მასკაევის ბრძოლას ერთი მოქმედი მძიმეწონოსანი ჩემპიონი ნიკოლაი ვალუევი და ერთიც ექსჩემპიონი — ვიტალი კლიჩკო ესწრებოდნენ. განსაკუთრებული ინტერესი ამ უკანასკნელის ყოფნამ გამოიწვია და უკრაინელმაც კომენტარები არ დაიშურა:

„სიმართლე გითხრათ, ბრძოლის ყურებისას თავი მე ამტკივდა — როგორ გაუძლო ოჰელომ ამდენ დარტყმას და არ წაიქცა, წარმოდგენა არ მაქვს. აფრიკელს იმდენი მოხვდა, რომ ორ-სამ ორთაბრძოლას ეყოფოდა, მაგრამ მაინც ნოკაუტის გარეშე წააგო.“

როგორც აღმოჩნდა, უფროსი კლიჩკო მასკაევს გულშემატკივრობდა, თუმც ამას თავისი მიზეზიც ჰქონია:

„ოლეგის მხარეს ვიყავი, ლამის ვლოცულობდი, რომ მოეგო — ამ შემთხვევაში ხომ მისი და ჩემი ძმის სავარაუდო ბრძოლა უფრო რეალური გახდებოდა. ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც გვაწყობდა — ახლა ვლადიმირს საშუალება ექნება, ქამრები გააერთიანოს“ — თურმე უკრაინელი ყველაფერს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აფასებდა და არც გაემტყუნება.

უმცროსი კლიჩკოსა და მასკაევის სავარაუდო ბრძოლა მართლაც სულ უფრო რეალური ხდება. ბოლოს და ბოლოს ვინმემ ხომ უნდა დაიწყოს ქამრების გაერთიანებისოვის ბრძოლა — უმეტესობა ამ როლში უკრაინელს ხედავს და ალბათ სწორედ ის გადადგამს ამ ნაბიჯს. ოუმც ჯერ ბევრი რამაა მოსაგვარებელი. ეს ბრძოლა კრივის სამყაროში დიდ ინტერესს კი გამოიწვევს, მაგრამ მოკრივეთა ბანაკებს შეთანხმებამდე მისვლა გაუჭირდებათ.

თუნდაც ის რად ღირს, რომ აქედანვე დაიწყეს იმაზე ვაჭრობა, სად უნდა გაიმართოს ეს ბრძოლა — ამაზე პრეტენზიას აშშ, გერმანია და რუსეთი აცხადებენ. მასკაევს თავისთავად მოსკოვში ჩხუბი ურჩევნია — როგორც ჩანს, ძალიანაც მოეწონა გავსებული ტრიბუნების მხარდაჭერა.

სამაგიეროდ, მოსკოვი ყოვლად მიუღებელი ყოფილა ვლადიმირ კლიჩკოსთვის, რომელსაც გერმანიაში ჩხუბი ურჩევნია — ჯერ ერთი, აქ ბლომად ბრძოლები აქვს ჩატარებული და მოგებული. მეორეც, გერმანიაში ძალიან პოპულარულია და ტრიბუნების მხარდაჭერა გარანტირებული ექნება.

ზოგადად ორგანიზატორებისთვისა და კრივის მესვეურთათვის ყველაზე სასარგებლო ამ ბრძოლის აშშ-ში ჩატარება იქნება — ინკების დარად „პროდუქტის“ რეკლამირება და ფინანსების მოზიდვა ხომ არავის ძალუძს. ამაში მათ ვერც ევრპოელები და მით უმეტეს, ვერც რუსები ვერ შეედრებიან, ფინანსები კი ხშირად ყველაფრის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება.

ასე რომ, ამ ბრძოლის გამართვა მთლიანობაში მაინც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და რა, როგორ და როდის მოხდება, ზუსტად ვერავინ იტყვის.

კახა ლომაშვილი

ჩემპიონთა ლიგა. ჯაჭვები
მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

ლუდის ხარშვა გერმანელთა საქმეა

ბარსელონა (ესპანეთი) 29:23 **მონპელიე** (საფრანგეთი) (25:28)
კოლდინგ ელიტი (დანია) 31:28 **ვესპრემი** *(უნგრეთი)* (22:32)
პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 36:29 **გოლდ კლუბი** (სლოვენია) (34:23)
სიუდად რეალი (ესპანეთი) 31:30 **სვენდბორგ გუდმე** (დანია) (33:28)
ვალიადოლიდი (ესპანეთი) 25:24 **პიკ სეგედი** (უნგრეთი) (25:25)
ფლენსბურგი (გერმანია) 36:26 **პივოვარნა ლაშკო** (სლოვენია) (31:41)
გუმერსბახი (გერმანია) 32:29 **ჩეხოვსკიე მედვედი** (რუსეთი) (37:31)
კილი (გერმანია) 37:27 **შამბერ სავოი** (საფრანგეთი) (39:33)

AFP კოლდინგიდან

კოლდინგ ელიტი — ვესპრემი. ხელბურთი უძახე და, დანიელმა მაღს ფორსლუნდმა უნგრელი ივან ლაპცევიჩი კინაღამ დააბრჩო

ფანტასტიკური! წარმოუდგენელი! — სხვაგვარად ვერც ვიტყვით იმაზე, რაც ჩრდილოეთ გერმანიის პროვინციული ქალაქის ფლენსბურგის გუნდმა მოახერხა.

მერვედფინალის პირველ მატჩში სლოვენიურ „პივოვარნასთან“ ათბურთიანი განადგურების შემდეგ ვინღა იფიქრებდა, რომ „ფლენსბურგ-ჰანდევიტი“ ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გასვლას შეძლებდა. მაგრამ გერმანულმა საბრძოლო სულმა ეს პატარა სასწაული მოახდინა, ცხადია, უერთგულეს ქომაგთა მხარდაჭერით — ერთი კვირის წინ მელუდეებთან იმ სამარცხვინო წახდენის მიუხედავად, „კამპუსჰალეს“ ტრიბუნებზე 6300 მაყურებელი შეიკრიბა თავისიანების მხარდასაჭერად. ისე, მასპინძლებს ძალიან გამხნევება არც სჭირდებოდათ, ლიგის სამეოთხედფინალო მოტივაცია ცოტას ნიშნავს?

ერთი სიტყვით, ფლენსბურგელებმა პირველ ტაიმში პრობლემის ორი მესამედი მოიგვარეს — 20:12, მერე კი უდრამატულეს ფინიშზე ზუსტად საჭირო, ათბურთიანი სხვაობით გაიმარჯვეს. ორი თამაშის ჯამში გოლების ბალანსი თანაბარი კი აღმოჩნდა — 67:67, მაგრამ მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი გოლის წყალობით საჩემპიონო ბრძოლას „ფლენსბურგ-ჰანდევიტი“ გააგრძელებს.

მოსალოდნელი რევანში აიღო ლიგის ექვსგზის (ზედიზედ ხუთჯერ 1996-2000) ტრიუმფატორმა „ბარსელონამ“. მონპელიეში სამბურთიანი წაგების საპასუხოდ კატალონიურმა კლუბმა მოწინააღმდეგეს შინ ორჯერ მეტი უპირატესობით სძლია.

ძლივს გაძვრა მეოთხედფინალში ესპანელთა კიდევ ერთი წარმომადგენელი „ვალიადოლიდი“. სტუმრად ფრის შემდეგ წყვილის ფავორიტს თავის მოედანზეც გაუჭირდა, თუმც წინსვლისთვის მინიმალური სხვაობით მოგებაც ეყო.

ამდენად, გაზაფხულზე უპრესტიჟულესი თასისთვის ბრძოლას უდანაკარგოდ გააგრძელებს ესპანურ-გერმანული შვიდეული და ფავორიტებს თეთრი ყვავით მიტმასნილი უნგრული „ვესპრემი“

მეოთხედფინალის წილისყრა დღეს ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში მოეწყობა.

გია ახალაძე

მსოფლიოს თასი. II ეტაპი
ჰოხფილცენი (ავსტრია). 10 დეკემბერი

რუსის ქალა შაშხანაა

ავსტრიულ ჰოხფილცენში პარასკევს სპრინტით დაწყებული ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი კვირას ესტაფეტებით დასრულდა, თუმცა მსროლელ მოთხილამურეთა თემი კვლავაც ჰოხფილცენში რჩება და ხვალიდან ახალ, მესამე ეტაპს დაიწყებს. ეს იძულებითი ნაბიჯია — ევროპაში დეკემბრისთვის არნახული სითბო და უთოვლობაა, ზამთრის სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლები ამის გამო დიდ გასაჭირში არიან და მსოფლიოს თასის ეტაპებს წამწდაუწუმ უცვლიან მისამართებს. ბიატლონისტების საქმეც ასეა და რადგანაც ჰოხფილცენში ხელოვნური თოვლი მაინც არის დაყრილი, იქვე დარჩებიან და ზედმეტ გართულებებს თავიდან აირიდებენ.

ესტაფეტები კი რუსთა ტრიუმფით დასრულდა — ქალებშიც და კაცებშიც სწორედ ისინი იყვნენ საუკეთესონი და ამ საქმეში გადამწყვეტი ზუსტი სროლა აღმოჩნდა. მაგალითად, რუს ქალთა კვარტეტმა რვა სასროლეთზე, ერთიანობაში, მხოლოდ ორი ზედმეტი ვაზნა დახარჯა და ეს მაშინ, როდესაც მეორე ადგილზე გასულმა გერმანელებმა ზედმეტი შვიდი ვაზნა არ იკმარეს და ერთი საჯარიმო წრეც გაირბინეს. ამის მიუხედავად, გლაგოვის, ჰენკელის, ნოინერისა და ვილჰელმის კვარტეტმა, საბოლოო ჯამში ოდენ წამის 7 მეათედი წააგო ბოგალი-ტიტოვეცის, ანისიმოვას, მალგინასა და გუსევას ოთხეულთან.

კაცებშიც რუსებსა და გერმანელებს შორის გაიმართა საჩემპიონო ბრძოლა და რუსებმა, იმის წყალობით, რომ გერმანელებზე ოთხი ვაზნით ნაკლები დახარჯეს, ფინიშზე 33 წამით მიასწრეს უმთავრეს მეტოქეს. ისიც სათქმელია, რომ კიდევ ერთი ფავორიტი ნორვეგია ამჯერად თავისი და საერთოდ, მსოფლიო ბიატლონის უპირობო ლიდერის ოლე ეინარ ბიორნდალენის გარეშე გამოვიდა. ზედიზედ ხუთი ინდივიდუალური ეტაპის მოგების შემდეგ ოლემ დასვენება გადაწყვიტა და მის გარეშე დარჩენილმა ვიკინგებმა ჩვეულად უხეიროდ ისროლეს — 13 ზედმეტ ვაზნას 2 საჯარიმო წრეც მიაყოლეს და მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს.

ესტაფეტაში გამარჯვებამ რუსთა ნაკრების ერთ-ერთი წევრი ივან ჩერეზოვი დიდ გულზე დააყენა და ასეთი რამ ათქმევინა — ეს ბიორნდალენი ყველას ასე იოლად იმიტომ გვჯობნის, რომ სეზონისთვის სამზადისი ადრე დაიწყო. აი, დადგება იანვარი, საწვავი გამოელევა და მერე ვნახოთო. ამაზეა ნათქვამი, ნეტარ არიან მორწმუნენიო.

გია მუჯირი

AFP ჰოხფილცენიდან

სვენ ფიშერისა და ანდრეას ბრინბახერის გერმანია მეორე ადგილს დასჯერდა

კაცები

ესტაფეტა 4X7,7 კმ. (4X2 სასროლეთი)

1. რუსეთი (ჩერეზოვი, იაროშენკო, ჩუდოვი, როჟკოვი) 1 საათი, 25 წუთი და 18,4 წამი (0 საჯარიმო წრე, 3 ზედმეტი ვაზნა)
2. გერმანია (რიოში, ვოლფი, ფიშერი, ბირნბახერი) +32,8წმ. (0+7)
3. საფრანგეთი (ობერი, დეფრანი, კანარი, პუარე) +1 წთ. 03,1წმ (0+11)

ქალები

ესტაფეტა 4X6 კმ. (4X2 სასროლეთი)

1. რუსეთი (ბოგალი - ტიტოვეცი, ანისიმოვა, მალგინა, გუსევა) 1 საათი, 18 წუთი და 24,7 წმ. (0+2)
2. გერმანია (გლაგოვი, ჰენკელი, ნოინერი, ვილჰელმი) +0,7 წმ (1+7)
3. ნორვეგია (ბერგერი, ფლატლანდი, მერკვე, გრუბენი) +1 წთ. 50,4 წმ (0+7).

რეგულარული ჩემპიონატი

AFP ნიუ იორკიდან

ფლორიდელმა სტივ მონტადორმა რეინჯერსელ რაიან ჰოლვეგს სახეში სთხლიშა

ჩეხოსლოვაკია ჩიკაგოში აღდგა

10 დეკემბერი

კოლუმბუსი 6:2 ოტავა
2:0 3:0 1:2
1:0 ნეში (6), 2:0 ნეში (19), 3:0 ფრიტშე (23), 4:0 ჰეინსი (28), 5:0 ფრიტშე (32), 5:1 შუბერტი (47), 5:2 ფიშერი (52), 6:2 მალოტრა (53)

რეინჯერსი 2:1 ფლორიდა
1:0 0:0 1:1
1:0 როზსივალი (11), 2:0 ნიულანდერი (41), 2:1 ვან რინი (51)

ჩიკაგო 4:1 ედმონტონი
2:0 0:1 2:0
1:0 რუუტუ (9), 2:0 სმოლინსკი (34), 2:1 სტოლი (25), 3:1 ჰავლატი (45), 4:1 არხიპოვი (60)

ტრაკმები რომ არა, წლეულს მარტინ ჰავლატი უდავოდ ბომბარდირთა სიის სათავეში იქნებოდა მოქცეული — სეზონის დასაწყისში ახალგარდა ჩეხის გამჩერებელი არავინ ჩანდა. ლიდერის დიდებული თამაში „ჩიკაგოს“ შედეგებზეც აისახა და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ „ბლექ ჰოქსის“ გულშემატკივრებს იმედი მიეცათ, რომ გუნდი პლეი ოფში გავიდოდა. მაგრამ ყველანაირ იმედებს ბოლო ტრავმების ეპიდემიამ მოუღო — „ჩიკაგომ“ თანმიმდევრობით დაკარგა შეტევის ყველა ლიდერი იმავე ჰავლატის, ტუომო რუუტუსა და მიხალ ჰანძუშის სახით. თუმცა ჰავლატის მწყობრში ჩადგომა საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გუნდს კვლავ დაეწყო გოლების გატანა. 19-მატჩიანი შესვენების შემდეგ ყინულზე დაბრუნებულმა ჩეხმა ორ შეხვედრაში სამი გოლის გატანა მოასწრო და თუ მისი დუბლით „ჩიკაგომ“ „მინესოტასთან“ ვერ იხეიმა, გუშინ ჰავლატის ნაშრომმა შედეგი გამოიღო და „ედმონტონმა“ მიჩიგანის სანაპიროები უქულოდ დატოვა.

ჩეხის გარდა ნიკოლაი ხაბიბულინის თამაშიც გამოსაყოფია, რომელმაც სიცხის მიუხედავად, კინაღამ მორიგი შთაუტი გაახერხა და ლომის წილი დიდი გუნდის წარმატებაში.

„ჩიკაგოს“ ბოსებმა კი გუშინ ჰავლატს დამხამარე ამოუყენა გვერდზე, გააფორმა რა ერთწლიანი კონტრაქტი 38 წლის სლოვაკ ხნიაერ პეტერ ბონდრასთან.

კენ ჰინკოკის ხელში ალარ იცნობა „კოლუმბუსი“. მაღალი დონის სპეციალისტის გამოჩენა საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ „ცისფერი ჟაკეტები“ გუნდს დამსგავსებოდნენ აგერ გუშინაც არცოუ სუსტ „ოტავას“ წირვა უკვე საწყის ორ პერიოდში გამოუყენეს, როდესაც ხუთჯერ გამოიყენეს მეტობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა — რიკ ნეშმა და დენ ფრიჩმა გამოიღეს თავი და წყვილი დუბლი მიითვალეს.

კახა ლომაშვილი

NHL

აღმოსავლეთ კონფერენცია							დასავლეთ კონფერენცია						
ატლანტიკი							**ცენტრალური**						
	თ	მ	წ	სწ	შ	ქ		თ	მ	წ	სწ	შ	ქ
ნიუ ჯერსი	28	17	9	2	71:68	36	ნეშვილი	29	18	8	3	96:80	39
რეინჯერსი	30	16	10	4	96:91	36	დეტროიტი	28	17	7	4	79:63	38
აილენდერსი	29	15	11	3	88:83	33	ჩიკაგო	28	11	12	5	71:84	27
პიტსბურგი	28	12	11	5	83:89	29	კოლუმბუსი	28	10	16	2	69:77	22
ფილადელფია	29	8	17	4	71:109	20	სენტ ლუისი	28	7	17	4	65:100	18
ჩრდილო-აღმოსავლეთი							**ჩრდილო-დასავლეთი**						
ბუფალო	29	22	5	2	121:87	46	ედმონტონი	29	16	11	2	81:75	34
მონრეალი	29	16	8	5	87:81	37	მინესოტა	29	16	11	2	85:78	34
ტორონტო	31	13	13	5	95:105	31	კალგარი	27	14	10	3	76:63	31
ოტავა	31	15	15	1	105:90	31	ვანკუვერი	30	14	15	1	66:81	29
ბოსტონი	27	14	11	2	78:94	30	კოლორადო	29	13	14	2	90:85	28
სამხრეთ-აღმოსავლეთი							**წყნარი ოკეანე**						
ატლანტა	31	18	8	5	104:93	41	ანაჰაიმი	32	23	3	6	116:76	52
კაროლინა	31	15	12	4	97:98	34	სან ხოსე	30	21	9	0	90:65	42
ვაშინგტონი	29	13	10	6	91:100	32	დალასი	30	20	10	0	82:63	40
ტამპა	30	14	14	2	97:95	30	ლოს ანჯელესი	31	11	16	4	87:107	26
ფლორიდა	32	10	16	6	80:106	26	ფინიქსი	28	11	16	1	71:102	23

თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები

ბომბარდირები: იაროსლავ იაგრი (რეინჯერსი) 43 (14+29); მარიან ჰოსა (ატლანტა) 42 (22+20); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 41 (17+24); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 39 (17+22); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 39 (13+26); ვინსენ ლეკავალიე (ტამპა) 37 (17+20); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 37 (15+22); მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 37 (11+26); ვიაჩესლავ კოზლოვი (ატლანტა) 36 (11+25); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 36 (10+26); დენი ჰითლი (ოტავა) 36 (18+18); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 35 (18+17); მარტინ სტრაკა (რეინჯერსი) 35 (16+19).

გოლეადორები: ჰოსა, ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი) 22-22; ჰითლი, ილია კოვალჩუკი (ატლანტა), ოვეჩკინი 18-18; დერსი ტაკერი (ტორონტო), ლეკავალიე, კრის დრური (ბუფალო), ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი), ტომაშ ვანეკი (ბუფალო), სელიანე, სენ ლუი 17-17.

ასისტენტები: იაგრი 29; კრის პრონგერი (ანაჰაიმი) 27; ნიულანდერი, ბრინდამორი, კროსბი 26-26; მარკ სავარი (ბოსტონი), კოზლოვი 25-25; ჯო ტორნტონი (სან ხოსე), ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), სელიანე 24-24.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 24; ტომ პრისინგი (ოტავა) 19; პრონგერი 18; ვანეკი 17; დიონ პეინეფი (კალგარი), კრის კუნიცი (ანაჰაიმი), ალექსეი ჟიტნიკი (აილენდერსი) 16-16; მეტიუ ლომბარდი (კალგარი), რომან ჰამრლიკი (კალგარი), ბრაიან კემპბელი (ბუფალო), სელიანე, იაგრი, რობერტ ლანგი (დეტროიტი) 15-15.



იაროსლავ იაგრი



კრისტობალ იუე

მეკარეები

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებლები: დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 1,84; მარტი ტურკო (დალასი) 2,04; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,04; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 2,04; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,10; ვეხა ტოსკალა (სან ხოსე) 2,17; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,19.

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: კრისტობალ იუე (მონრეალი) 93,2; კიპრუსოფი 92,9; ჟიგერი 92,5; ნაბოკოვი 92,4; რეი ემერი (ოტავა) 92,4; ტურკო 92,2; დუეინ როულსონი (ედმონტონი) 92,2.

მოგებული მატჩები: ჟიგერი 19; ბროდო 17; ტურკო, მილერი 15-15; კიპრუსოფი, ჰაშეკი, რობერტო ლუნგო (ვანკუვერი), როულსონი 14-14.

შაბაშუტები: კიპრუსოფი, ჟიგერი, ბროდო, კარი ლეჰტონენი (ატლანტა), ჰაშეკი 4-4; ნაბოკოვი, ტურკო, როულსონი 3-3; მაიკ სმითი (დალასი), ტოსკალა, ლუნგო, ფრედრიკ ნორენა (კოლუმბუსი), იუე 2-2.

პრო-ტური დისქავერის წინააღმდეგ

ბასოს სისხლის და შარდის არ ეშინია

არა და არ დასრულდა ესპანელი ექიმის, ეუფემიანო ფუენტესის სახელთან დაკავშირებული ველოსკანდალი. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, თითქოს ყველაფერი ჩაცხრა და თითქმის ყველა ეჭვმიტანილი მრბოლი რეაბილიტირებულ იქნა, მაგრამ ეს საქმე ისეთი გველეშაპი იყო, ბოლომდე რომ არ კვდება და ხან კუდის მოქნევას ახერხებს, ხანაც მოჭრილი თავის მაგივრად სხვა ამოსდის.

აი, სულ ახალი ინფორმაცია — როგორც „რეიტერი“ იტყობინება, „პრო-ტურის“ სისტემაში შემავალი ველოგუნდების ასოციაციამ გადაწყვიტა, ეთიკური კოდექსის დარღვევის გამო თავისი რიგებიდან გარიცხოს ამერიკული გუნდი „დისქავერი“, რომელმაც თავს ნება მისცა და კონტრაქტი გაუფორმა ფუენტესის საქმესთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მრბოლს, წლევანდელი „ჯირო დიტალიას“ მომგებ ივან ბასოს. არადა, „პრო-ტურის“ მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებით, სანამ ფუენტესის საქმის ყველა დეტალი არ დაზუსტდებოდა, გუნდებს ამ საქმეში გარეულ ველოსიპედისტებთან კავშირი არ უნდა დაეჭირათ.

თავისთავად, ასოციაციის ეს გადაწყვეტილება არაფერს ნიშნავს და „დისქავერის“ სრული უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს „პრო-ტურის“ სერიის რბოლებში, თუმცაღა, ამ ნაბიჯით შესაძლებელია დაიწყოს საქმე, რომელიც UCI-ს (ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი) მიერ „დისქავერისთვის“ ლიცენზიის ჩამორთმევით დასრულდება.

ასეთი ფინალი ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ იმას კი წყალი არ გაუვა, რომ ამერიკულ ველოგუნდსაც და მის ახალ, იტალიელ ლიდერსაც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს ხალხი მოსვენებას არ მისცემენ. ეს რომ ასეა, ბასოს ამერიკაში ჩასვლისთანავე გამოჩნდა. იტალიელი რამდენიმე დღის წინ ჩავიდა „დისქავერის“ ყოფილი ლიდერის, „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის მომგები ლენს არმსტრონგის მშობლიურ ქალაქ ოსტინში, სადაც ამერიკული ველოგუნდის სამწვრთნელო ბანაკია განლაგებული. დახვედრა დიდებული იყო: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს — ბრძანა თავად არმსტრონმა და დაამატა — ბასოს მხოლოდ ამ გუნდთან ერთად ძალუძს „ტურის“ მოგება. ეს დიდი გამოწვევაა და მჯერა, რომ ყველაფერი გაისად ივლისში, ელისის მინდვრებზე ყვითელი მაისურათი დასრულდება“. არანაკლებ კატეგორიული იყო „დისქავერის“ შეფი იოჰან ბრიუნელი: „ახლა უკვე დარწმუნებული ვარ — ჩვენ შევძელით ლენსის შემცვლელის პოვნა და „დისქავერი“ მსოფლიო ველორბოლის პელოტონში კვლავ სერიოზული მოთამაშე ხდება“.

და აი, ასეთი განცხადებების ფონზე მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (ვადა) ემისრები მოულოდნელად ეწვივნენ ოსტინს და ბასოს და „დისქავერის“ მეორე ლიდერს, ამერიკელ ლევი ლეიფეიმერს სისხლისა და შარდის ანალიზები აუღეს. იტალიელი ამ ფაქტს ძალზე მშვიდად შეხვდა. „წლეულს, რბოლებს თუ არ ჩავთვლით, ბარე თხუთმეტჯერ მაინც ჩამიტარეს დოპინგ-ტესტი. ეს ნორმალურია და ანალიზის პასუხების არ მეშინია“ — განაცხადა ბასომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
AFP

ბებოს გამხარებელი

ზარა ფილიპსი ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენია

ტელეკომპანია ბი-ბი-სის გამოკითხვით დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენად სამეფო ოჯახის წევრი, დედოფალ ელიზაბეტ II შვილიშვილი ზარა ფილიპსი დასახელდა.

25 წლის ზარამ წლეულს მსოფლიო საცხენოსნო თამაშები მოიგო ინდივიდუალურ ჩათვლაში, ხოლო დიდი ბრიტანეთის ნაკრებმა რომ მეორე გუნდური ადგილი დაიკავა, სწორედ დედოფლის შვილიშვილის დამსახურებაა. სარამ ასევე მოიგო ევროპის ჩემპიონატი და ერთადერთი მხედარია, რომელსაც ერთდროულად ორი უმაღლესი რანგის ტიტული მოუგია ერთ სეზონში.

ზარას მხედრობა გენში აქვს — მისი დედა ანალოგიური გამოკითხვის შედეგად, 1971 წელს გახდა ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენი, ხოლო მამამისი, მარკ ფილიპსი, ოლიმპიური ჩემპიონია ცხენოსნობაში.

კაცმა ქალი ბნელში დაიჭირა

მსოფლიოს ექსჩემპიონი და ფიდეს რეიტინგსიის ლიდერი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი ქალთა შორის უძლიერეს უნგრელ იუდიტ პოლგარს თვალხუჭუნა ჭადრაკში დაუპირისპირდა და 3,5:2,5 მოუგო. შეხვედრა ბასკთა მთავარ ქალაქ ბილბაოში გაიმართა და მას ქალაქის მერი ინიაკ ასკუნი პატრონობდა.

მეტოქეებმა ექვსი პარტია გაითამაშეს და თითო შეხვედრაში მოსაფიქრებლად 25 წუთი ჰქონდათ.

ტოპალოვმა ყოჩაღად დაიწყო ასპარეზობა და პირველივე შეხვედრა მოიგო, მომდევნო ყაიმით დაასრულა, ხოლო მესამეში კვლავ იმარჯვა და ორი ქულით დაწინაურდა. ამის შემდეგ დიდოსტატებმა ზედიზედ ორი ყაიმი გააგორეს და ფაქტობრივად მოგებულიც გამოვლინდა. ბოლო, არაფრის მომცემი პარტია კი გამარჯვებულმა სუსტად ჩაატარა და მანდილოსანმაც ქულათა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

ლაშა გეგეჭკორი

ნაადრევად ზეიმობთ!

მაკვეიდმა ულრიხს მწვანე შუქი აუნთო

ფუენტესის საქმის მეორე სახელოვანი ფიგურანტი, გერმანელი იან ულრიხი კი ჯერაც პროფესიონალური ლიცენზიის გარეშე და შესაბამისად უგუნდოდაა, თუმცა ოპტიმიზს არ კარგავს. 1997 წლის „ტურისა და 1999 წლის „ვუელტას“ ტრიუმფატორმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა გერმანულ გამომცემლობა BM-თან საუბრისას განაცხადა, რომ აუცილებლად იასპარეზებს 2007 წლის დიდ რბოლებში.

„ჩემი მოწინააღმდეგეები ნაადრევად ზეიმობენ. არ ვიცი რომელი გუნდის სახელით და არა აქვს მნიშვნელობა, ეს გუნდი „პრო-ტურის“ იქნება, თუ კონტინენტალური, მაგრამ მე აუცილებლად დავბრუნდები და 2007 წელს „ჯიროზე“, ანდა „ტურზე“ ანდაც ორივეზე ერთდროულად მივიღებ მონაწილეობას“ — განაცხადა ულრიხმა, ვის ოპტიმიზმსაც UCI-ს თავკაცის პატრიკ მაკვეიდის ბოლოდროინდელი სიტყვებიც უმაგრებს ზურგს.

მაკვეიდმა, ვინც კარგა ხანს სასტიკი წინააღმდეგო იყო ბასოსა და ულრიხის დიდ ველოსპორტში დაბრუნებისა, პოზიცია შეარბილა მას შემდეგ, რაც მრბოლთა დანაშაული არ დამტკიცდა და ბასომ „დისქავერისთან“ კონტრაქტიც გააფორმა. „დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ულრიხს ისეთივე სრული უფლება აქვს, მიიღო რბოლებში მონაწილეობა, როგორც ბასოს“ — ბრძანა მაკვეიდმა და არაორაზროვნად მიანიშნა, რომ, ფაქტობრივად, აღარავითარი წინაღობა აღარ არსებობს საიმისოდ, ულრიხი იზოლაციაში რომ დარჩეს.

AFP პარიზიდან

ცუდი წაქცევა

ფარსაგი საქმე მოხდა პარიზში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე. ჩეხი მოციგურაველების, ოლგა პროკურონოვას და კარელ სტეფლის წაქცევა ისეთი მძიმე გამოდგა, რომ წყვილმა საერთოდ შეწყვიტა შეჯიბრში მონაწილეობა.



AFP ჰავაიდან

ჰავაის წყალში

ჰავაის წყლებში, კერძოდ კი, ბანზაის ჩიბუხა ტალღებზე მოსერფეთა დიდი ტურნირი მიმდინარეობს. ეს სიპკარლ პროა, სეზონის დამაგვირგვინებელი ტურნირი, რომელშიც სულ ვარსკვლავნი მონაწილეობენ და საპრიზო ფონდად 280 ათასი დოლარია. ლიდერი ეს ბიჭი, ჰავაელივე ჯემი ოჰბრეინია, რომელიც რვაგზის მსოფლიოს ჩემპიონ კელი სლეიტერსაც კი უსწრებს.



AFP ჩიკაგოდან

დუო დე დიზაინი

ტანვარჯიშიც ამას ჰქვია. „დუო დიზაინის“ ჯგუფის ბიჭები მართლაც შემაშფოთებლად მაგარ რაღაცებს აკეთებენ. გამოსვლა კი ჩიკაგოს „იუნაიტედ სენთერში“, საკალათბურთო მატჩის შესვენებაზეა.

AFP ლიგერპულიდან

ტამანგო

ტოპების სტიპლჩეიზი, ლივერპულის ერთ-ერთი სიმბოლო, რიჩარდ ჯონსონისთვის უკვე დამთავრებულია. დამთავრდა ეს დღეი საბრალო ტამანგოსთვისაც.

AFP პარიზიდან

კაბარე და რაგბი

ევროპის თასის სარაგბო თამაშის წინ „სტად ფრანსეზსა“ და „სეილს“ შორის მინდორზე მოულოდნელად შეცვივდნენ „მულენ რუჟის“ განთქმული გოგონები. „პარკ დე პრენსის“ ძველ სტადიონზე კანკანს ტაში მოჰყვა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge